ადამიანის უფლებები საქართველოში

2022

ადამიანის უფლებები საქართველოში

2022

სარჩევი

შესავალი 2

1. გამოხატვისა და მედიის თავისუფლება 5

2. შეკრებისა და მანიფესტაციების თავისუფლება 14

3. პირადი ცხოვრების, პირადი სივრცისა და კომუნიკაციის ხელშეუხებლობის უფლებები 18

4. თანასწორობა 20

5. სამართლიანი სასამართლოს უფლება და მართლმსაჯულება 23

6. პოლიტიკურად მოტივირებული პრაქტიკა და საქმეები 26

7. პოლიტიკური პროცესები და ადამიანის უფლებები 34

8. სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გაუქმება 38

შესავალი

წინამდებარე ანგარიშში განხილულია ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით საქართველოში 2022 წელს არსებული მდგომარეობა. დოკუმენტში თემატურად მიმოხილულია ამ წლის ის ძირითადი მოვლენები და შემთხვევები, რომელიც წარმოაჩენს, თუ რამდენად ასრულებს საქართველოს ხელისუფლება თავის ვალდებულებებს ადამიანის უფლებებისა და სამართლის უზენაესობის სფეროებში.

2022 წელს გაგრძელდა კრიტიკული მედიისა და ჟურნალისტების შევიწროება და მათზე ზეწოლა, რამაც კიდევ უფრო სისტემური ხასიათი მიიღო. ამ კუთხით განსაკუთრებით საგანგაშოა ტელეკომპანია "მთავარი არხის" დამფუძნებლის, ნიკა გვარამიას წინააღმდეგ განხორციელებული სისხლის სამართლებრივი დევნა და პირველი და მეორე ინსტანციის სასამართლოების მიერ მიღებული გამამტყუნებელი განაჩენები, რომლებიც შეფასდა როგორც მედიის თავისუფლების წინააღმდეგ მიმართული და პოლიტიკურად მოტივირებული. გარდა ამისა, 2022 წელს გაძლიერდა კრიტიკული მედიის წინააღმდეგ ცილისწამების საბაბით სასამართლოსათვის მიმართვის ტენდენცია, რომელმაც უკვე კამპანიური ხასიათი მიიღო. კრიტიკულად განწყობილი მედიების წინააღმდეგ სასამართლოში შეტანილი სარჩელების რაოდენობამ 32-ს მიაღწია, ხოლო მოსარჩელეები ძირითადად არიან ხელისუფლების წარმომადგენლები ან მათთან დაკავშირებული პირები. ამ ტიპის ე.წ. SLAPP (სტრატეგიული სარჩელები სამოქალაქო ჩართულობის წინააღმდეგ) დავები უნდა შეფასდეს როგორც მედიის წინააღმდეგ მიმართული სადამსჯელო ღონისძიება, ვინაიდან მიზნად ისახავს ჟურნალისტების/მედიის გაჩუმებას. SLAPP სარჩელებთან ერთად, მედია საშუალებების შეუფერხებელ ფუნქციონირებას ხელს უშლის საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია, რომელმაც, გასული წლის მსგავსად, გააგრძელა აუდიო-ვიზუალური მასალის „პოლიტიკურ რეკლამად" კვალიფიკაციის საბაბით კრიტიკული მედიების სანქცირების პრაქტიკა. აღნიშნულის ფონზე, საყურადღებოა კომისიის მიერ საკუთარივე პრაქტიკისა და შესაბამისი კანონმდებლობის საწინააღმდეგოდ მიღებული გადაწყვეტილება, არ განეხილა საჩივარი შპს „ალტ-ინფოს" ეთერში გაკეთებული და რუსეთის მიერ უკრაინაში ჩადენილი ომის დანაშაულების გამამართლებელი განცხადებები და ეს საკითხი მიენდო „ალტ-ინფოს" თვითრეგულირების მექანიზმისთვის. კომისიის ამ საეჭვო გადაწყვეტილებების გათვალისწინებით, გამოხატვისა და მედიის თავისუფლებისათვის სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს გარკვეულ საკითხებზე კომისიის მანდატის გაფართოება, რასაც ითვალისწინებს პარლამენტში უკვე ორი მოსმენით მიღებული კანონპროექტი „მაუწყებლობის შესახებ" კანონში ცვლილებების შესატანად. კანონპროექტით დგინდება, მათ შორის, კომისიის (კომკომის) გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ ძალაში შესვლა, მის მიერ ზედამხედველობის განხორციელება პასუხის უფლებაზე და სიძულვილის ენის რეგულირება. GDI-მ და სხვა ადგილობრივმა სამოქალაქო ორგანიზაციებმა კანონპროექტზე გამოხატეს მკაცრი კრიტიკა, რომლის მნიშვნელოვანი ნაწილი გაიზიარეს ევროსაბჭოს ექსპერტებმა. ბოლოს, ადმინისტრაციულ, სასამართლო და საკანონმდებლო დონეზე არსებული პრობლემების გარდა, წელს კვლავ საგანგაშოა ფიზიკური და სიტყვიერი თავდასხმები ჟურნალისტებსა და მედიის წარმომადგენლებზე, რომელთა მიმართ აგრესიას ახალისებს სახელმწიფო წარმომადგენლების მიერ დისკრედიტაციული და ნეგატიური განცხადებები.

გასული წლის მსგავსად, 2022 წელს კვლავ არ განხორციელებულა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის რეფორმა. შესაბამისად, გაგრძელდა სამართალდამცავთა მიერ ადმინისტრაციული წესით აქციის მონაწილეთა დაკავებისა და სასამართლოს მიერ ადმინისტრაციული წესით მათი დასჯის პრაქტიკა მოძველებულ და ადამიანის უფლებათა სტანდარტებთან შეუთავსებელ კოდექსზე დაყრდნობით. ხსენებული პრაქტიკის სამაგალითო შემთხვევები აღწერილია არასამთავრობო ორგანიზაციების ერთობლივ ანგარიშში შეკრების უფლებით სარგებლობის შესახებ. აღნიშნული შემთხვევები ცხადყოფს, რომ ხელისუფლება სამართალდამცავი ორგანოების, სასამართლო სისტემისა და არსებითად ხარვეზიანი, მოძველებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის გამოყენებით კვლავ ცდილობს, რომ ჩაახშოს პროტესტი და ხელი შეუშალოს კრიტიკული პოზიციების გამოხატვას. შეკრების თავისუფლებაში უკანონო და დაუსაბუთებელ ჩარევასთან ერთად, ხელისუფლება ასევე არ არსულებს თავის პოზიტიურ ვალდებულებას, რომ ეფექტიანად გამოიძიოს ამ უფლების დარღვევა და დასაჯოს პასუხისმგებელი პირები - 2021 წლის 5 ივლისს განვითარებული ძალადობრივი მოვლენების გამოძიება და ამ მოვლენებთან დაკავშირებით სამართალწარმოება სათანადოდ არ მიმდინარეობს.

2022 წელს გაუარესდა ფარული საგამოძიებო მოქმედებების მომწესრიგებელი კანონმდებლობა. კერძოდ, აპრილში საპარლამენტო უმრავლესობამ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში დააინიცირა შემდეგი ცვლილებები: ფარული საგამოძიებო მოქმედებების გავრცელება დამატებით 27 დანაშაულზე; ფარული საგამოძიებო მოქმედებების ვადის გაზრდა 9 თვემდე; ფარული საგამოძიებო მოქმედებების უვადოდ განხორციელებისა და ფარული საგამოძიებო მოქმედებების სუბიექტის შეუტყობინებლობის შესაძლებლობა 100 დანაშაულის შემთხვევაში. კანონპროექტის მომზადება ფართო კონსულტაციის გარეშე, მისი შინაარსის არასაკმარისი დასაბუთება და ამ ცვლილებებით ადამიანის უფლებათა დაცვის სტანდარტის გაუარესება მკაცრად გააკრიტიკეს ადგილობრივმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა. მსგავსი შეფასებაა მოცემული ვენეციის კომისიის მოსაზრებაშიც. მიუხედავად უარყოფითი გამოხმაურებისა, პარლამენტმა კანონპროექტი თავდაპირველი რედაქციით მიიღო. მიღებული ცვლილებები განსაკუთრებით საგანგაშოა ე.წ. „მოსმენების საქმის“ ფონზე, რომელზეც გამოძიება დაიწყო სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ სავარაუდო უკანონო ფარული მიყურადების შესახებ 2021 წლის სექტემბერში ინფორმაციის გავრცელების შემდეგ. საქმის გამოძიება არაეფექტიანად მიმდინარეობს, რასაც სხვა ინდიკატორებთან ერთად მიუთითებს სავარაუდო უკანონო ფარული მოსმენა-მიყურადების/თვალთვალის ადრესატებისათვის დაზარალებულის სტატუსის არადროულად მინიჭება და მთელი რიგი საგამოძიებო მოქმედებების დაგვიანებით ჩატარება.

თანასწორობის კუთხით, 2022 წელს კვლავ პრობლემურია ლგბტქი+ თემის უფლებრივი მდგომარეობა. ლგბტქი+ თემი კვლავ ვერ ახერხებს საჯარო სივრცეში გამოხატვისა და შეკრების თავისუფლებით დაუბრკოლებლად სარგებლობას სიძულვილის ჯგუფების მხირდან მუქარისა და ხელისუფლების ჰომოფობიური რიტორიკის ფონზე. ლგბტქი+ თემის წინაშე არსებულ ამ და სხვა გამოწვევებზე ასევე არ არის ყურადღება გამახვილებული ხელისუფლების მიერ შემუშავებულ 2022-2030 წლების ადამიანის უფლებათა ეროვნულ სტრატეგიაში. სტრატეგია საერთოდ არ ახსენებს ლგბტქი+ თემს და მისი მომზადების ბოლო პერიოდში მთავრობას სათანადოდ არ უთანამშრომლია თემის საჭიროებებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებთან.

2022 წელს სამწუხაროდ არ გამოსწორებულა ვითარება სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობის კუთხით. პროგრესული ნაბიჯების მაგივრად, 2021 წლის 30 დეკემბერს პარლამენტმა ნაჩქარევად მიიღო „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანულ კანონში ცვლილებები, რომლებიც ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე შეფასდა, როგორც ინდივიდუალური მოსამართლეების დამოუკიდებლობისათვის საფრთხის შემცველი. ცვლილებები მოსამართლეთა ნაწილმა და სახალხო დამცველმა საკონსტიტუციო სასამართლოში გაასაჩივრეს, მაგრამ სასამართლოს ამ დრომდე არ დაუწყია სარჩელების განხილვა. გარდა ამისა, 2022 წელს კვლავ პრობლემურია იუსტიციის უმაღლეს საბჭოსა და სასამართლოებში ე.წ. კლანური მმართველობა, რომელიც უპირველესად გამოიხატა იუსტიციის უმაღლეს საბჭოს წევრებად და სასამართლოებში მნიშვნელოვან თანამდებობებზე ე.წ. „კლანის“ წევრების ან „კლანთან“ დაახლოებული პირების დანიშვნით.

სასამართლოს დამოუკიდებლობის საგანგაშოდ დაბალი ხარისხის გათვალისწინებით, სამწუხაროდ, არ არის გასაკვირი, რომ 2022 წელს კვლავ გაგრძელდა სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებული მართლმსაჯულება და პრაქტიკა. ამ მხრივ, აღსანიშნავია კრიტიკული ტელეკომპანიების დამფუძნებლების, ნიკა გვარამიასა და დავით კეზერაშვილის წინააღმდეგ მიღებული სასამართლო გადაწყვეტილებები, რომლებიც აღიქმება ზეწოლად კრიტიკულ მედიაზე. 2022 წელს ასევე გაგრძელდა არაერთი აქტორის მიერ პოლიტიზირებულად მიჩნეული სასამართლო პროცესები მიხეილ სააკაშვილის წინააღმდეგ, რომლის ჯანმრთელობის მდგომარეობა პატიმრობის განმავლობაში მკვეთრად გაუარესდა. ამასთანავე, გრძელდება სამართალწარმოება ივერი მელაშვილისა და ნატალია ილიჩოვას წინააღმდეგ ე.წ. „კარტოგრაფების საქმეში“, რომელიც ასევე პოლიტიკურად მოტივირებულად არის შეფასებული. გარდა ამისა, წელს კვლავ მიმდინარეობდა კულტურის სფეროში მნიშვნელოვანი საკადრო ცვლილებები, რომლებშიც დისკრიმინაციული საფუძვლით საკადრო წმენდა შეინიშნება.

2022 წელს საქართველომ ევროკავშირს წარუდგინა განაცხადი ევროკავშირის წევრობაზე. მოლდოვისა და უკრაინისგან განსხვავებით, საქართველომ მიიღო არა ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსი, არამედ ევროპული პერსპექტივის აღიარება და სტატუსის მოპოვებისთვის შესასრულებელი 12 პუნქტიანი მოთხოვნების სია. ხსენებული წინაპირობების შესრულების არგუმენტით ხელისუფლებამ გადადგა გარკვეული ნაბიჯები, მაგრამ ისინი არასაკმარისია. კერძოდ, შემუშავდა სასამართლო რეფორმის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, რომელიც, არასამთავრობო ორგანიზაციების შეფასებით, არ ეხმაურება მართლმსაჯულების სისტემაში არსებულ გამოწვევებს. სამოქალაქო სექტორმა ასევე გააკრიტიკა „დეოლიგარქიზაციის“ კანონპროექტი, რომელიც ამჟამად არ ვრცელდება რეალურ ოლიგარქად მიჩნეულ ბიძინა ივანიშვილზე. ასევე უარყოფითად შეფასდა სსიპ „ანტიკორუფციული ბიუროს“ შექმნის შესახებ კანონპროექტი, რომელიც არ პასუხობს ქვეყანაში კორუფციასთან დაკავშირებულ გამოწვევებს.

ბოლოს, 2022 წლის მარტიდან გაუქმდა სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური და შეიქმნა ორი ახალი ორგანო (სპეციალური საგამოძიებო და პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურები) 2021 წლის 30 დეკემბერს დაჩქარებულად მიღებული საკანონმდებლო ცვლილებების საფუძველზე. ფართო საზოგადოების ჩართულობისა და კონსულტაციების გარეშე სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის დაჩქარებულად გაუქმება გააკრიტიკეს როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დონეზე. ამასთანავე, ადგილობრივმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა და სახალხო დამცველმა კანონის რეალურ მიზნად მიიჩნიეს დამოუკიდებელ ინსტიტუტზე ზეგავლენის მოხდენა, ხოლო სახალხო

დამცველმა ასევე გააკრიტიკა ახლადშექმნილი ორგანოების მანდატი. სახალხო დამცველმა და ყოფილმა სახელმწიფო ინსპექტორმა საკანონმდებლო ცვლილებების შეჩერება და არაკონსტიტუციურად ცნობა მოითხოვეს საკონსტიტუციო სასამართლოში, რომელმაც ცვლილებები არ შეაჩერა და უკვე მათი ამოქმედების შემდეგ სარჩელები ნაწილობრივ დააკმაყოფილა. არსებობს ბევრი კითხვის ნიშანი საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებაუნარიანობასთან დაკავშირებით, რაზეც საუბარია ასევე ამავე გადაწყვეტილებაზე მოსამართლე გიორგი კვერენჩხილაძის განსხვავებულ აზრში. შესაბამისად, ადამიანის უფლებების დაცვისათვის ისეთი მნიშვნელოვანი ორგანო, როგორიც იყო სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური, გაუქმდა დაჩქარებულად, სათანადო და გამჭვირვალე დისკუსიისა და კონსტიტუციურობის შეფასების გარეშე, ხოლო საკონსტიტუციო კონტროლი აღმოჩნდა არაეფექტური უფლებების დაცვისა და დარღვეული უფლებების აღდგენის თვალსაზრისით.

ზემოაღნიშნული მოვლენებიდან გამომდინარე, 2022 წელს საქართველოში გაგრძელდა ადამიანის უფლებათა დაცვის და დემოკრატიის ხარისხის გაუარესება, მზარდია ავტორიტარიზმის ნიშნები. ეროვნული მდგომარეობის რეგრესს მიუთითებს ისიც, რომ საქართველომ ვერ მიიღო ევროკავშირის კანდიდატობის სტატუსი, რომელიც დიდწილად ქვეყანაში სწორედ ადამიანის უფლებების დაცვის ხარისხსა და სტაბილური დემოკრატიის მაღალ სტანდარტზეა დამოკიდებული. აღსანიშნავია, ხელისუფლების მაღალი თანამდებობის პირების მხრიდან ანტიდასვლური რიტორიკა და განცხადებები, რაც მათ შორის, საქართველოსთვის ევროკავშირის წევრობის კანდიდატის საკითხის განხილვის პარალელურად კეთდებოდა. შეიძლება ითქვას, რომ ამ განცხადებებმა ნამდვილად არ შეუწყო ხელი საქართველოსთვის ევროკავშირის წევრობის კანდიდატი ქვეყნის სტატუსის მიღების შესახებ გადაწყვეტილებას. ხსენებული უკუსვლა განსაკუთრებით საგანგაშოა მსოფლიოში დემოკრატიის წინააღმდეგ ავტოკრატიის მზარდი ტენდენციის ფონზე. ამ კონტექსტში მნიშვნელოვანია უკრაინაში რუსეთის მიერ წარმოებული ომი და საქართველოში ხელისუფლების წარმომადგენელთა განცხადებების თანხვედრა რუსულ ნარატივებთან. განსაკუთრებით საგანგაშოა ქართული ოცნებიდან პარლამენტის წევრთა გამოყოფის იმიტიაცია, რომელიც ღიად ანტიდასავლურ პოლიტიკურ მოძრაობა "ხალხის ძალად" ჩამოყალიბდა. საყურადღებოა მათი საჯარო პოზიციონირება, რომელიც თითქმის ყველა მიმართულებით იმეორებს კარგად გამოცდილ გზას, რომელიც პუტინის მმართველობის ქვეშ რუსეთის ფედერაციამ დღემდე გაიარა. მსოფლიოს უსაფრთხოების არქიტექტურის ამ მასშტაბით ცვლილების ფონზე, საქართველოს შიგნით მიმდინარე პროცესები განსაკუთრებულ ყურადღებას და ძალისხმევას მოითხოვს, რათა საქართველომ არ დაკარგოს შესაძლებლობა იყოს უსაფრთხო, სტაბილური და ეკონომიკურად ძლიერი დასავლური სამყაროს ნაწილი.

1. გამოხატვისა და მედიის თავისუფლება

1.1. ცილისწამების საფუძვლით სასამართლოში დაწყებული დავები

მედიის მიერ გაკეთებული კრიტიკული განცხადებები არაერთხელ ყოფილა სასამართლო დავის დაწყების საფუძველი. თუმცა საანგარიშო პერიოდში აღნიშნულმა რეკორდულ მაჩვენებელს მიაღწია და კამპანიური ხასიათი მიიღო. GDI თემის კვლევით ამ ტენდენციის შემჩნევისთანავე დაინტერესდა. სასამართლოში ცილისწამებასთან დაკავშირებით სარჩელების გაზრდილი მაჩვენებელი ჯერ კიდევ 2021 წელს დაფიქსირდა, თუმცა აღნიშნული ტენდენცია გაძლიერდა 2022 წელს და კრიტიკულად განწყობილი მედიების წინააღმდეგ სასამართლოში შეტანილი სარჩელების რაოდენობამ **32**-ს მიაღწია, რომელთა

ნაწილი უკვე დაკმაყოფილდა საქალაქო სასამართლოში, ხოლო სააპელაციო სასამართლომ პირველი ინსტანციის გადაწყვეტილებები ძალაში დატოვა.

აღსანიშნავია, რომ სასამართლო დავის ინიციატორები როგორც წესი ხელისუფლების წარმომადგენლები ან მათთან დაკავშირებული პირები არიან (ხშირ შემთხვევაში, მათი ახლო ნათესავები ან „ქართული ოცნების“ აქტიური მხარდამჭერები და შემომწირველები). მაგალითად, „TV პირველის“ წინააღმდეგ ცილისწამების საფუძვლით სარჩელი შეტანილი აქვს ირაკლი კობახიძის დედას, თამარ ზაალიშვილს[1] (აღსანიშნავია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლომ 2022 წლის 20 სექტემბერს დააკმაყოფილა თამარ ზაალიშვილის სარჩელი და მოპასუხე მედიას 5555 ლარის ოდენობით მორალური ზიანის ანაზღაურება დააკისრა[2]) და სიძეს, დავით ფაცაციას, რომელიც ამავდროულად აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იძულებით გადაადგილებულ პირთა მინისტრის თანამდებობას იკავებს.

ზემოაღნიშნული გარემოებები ცხადყოფს, რომ საქართველოში გახშირდა სასარჩელო მექანიზმის ბოროტად გამოყენების და სასამართლოსთვის ე.წ. SLAPP (სტრატეგიული სარჩელები სამოქალაქო ჩართულობის წინააღმდეგ) სარჩელებით მიმართვის შემთხვევები. მსგავსი სარჩელები უნდა შეფასდეს როგორც კრიტიკული მედიის წინააღმდეგ მიმართული სადამსჯელო ღონისძიება, ვინაიდან მიზნად ისახავს ჟურნალისტების/ მედიის გაჩუმებასა და სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების უკანონო შეზღუდვას, ხოლო შედეგად იწვევს სამართალწარმოების გზით მედიისთვის ცენზურის დაწესებას. საყურადღებოა, რომ SLAPP სარჩელებით სასამართლოსთვის მიმართვა სხვა ქვეყნებშიც გავრცელებული ტენდენციაა, რის გამოც საერთაშორისო დონეზე იგეგმება არაერთი ნაბიჯის გადადგმა ამ მავნე პრაქტიკის წინააღმდეგ.[3]

როგორც აღინიშნა, საქართველოშიც ვხვდებით გავლენიანი პირების მიერ სასამართლო გზით კრიტიკული მედიის გაჩუმების მცდელობის არაერთ მაგალითს. ამ კუთხით საყურადღებოა ხელისუფლებისა და სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლების მიერ ცილისწამების საფუძვლით წამოწყებული რამდენიმე საქმე, სადაც GDI მედია და სამოქალაქო ორგანიზაციებს და ჟურნალისტებს სამართლებრივ დახმარებას უწევს. GDI-ს წარმოებაში 10-მდე ასეთი საქმეა.

1.1.1. გრიგოლ ლილუაშვილის სარჩელი მედიების წინააღმდეგ

მედიის თავისუფლების კუთხით განსაკუთრებულ საფრთხეს ქმნის სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის, გრიგოლ ლილუაშვილის ტელეკომპანია „ფორმულასა“ და „მთავარი არხის“ წინააღმდეგ შეტანილ სარჩელზე თბილისის საქალაქო და სააპელაციო სასამართლოების მიერ მიღებული გადაწყვეტილება.[4]

2022 წლის 29 აპრილს, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლემ, ნანა შამათავამ დააკმაყოფილა გრიგოლ ლილუაშვილის სარჩელი და, შესაბამისად, დაადგინა მის მიმართ ცილისწამების ფაქტი. ხოლო 2022 წლის 30 ნოემბერს თბილისის სააპელაციო სასამართლომ (მოსამართლეები: ოთარ სიჭინავა (თავმჯდომარე), ლაშა თავართქილაძე, გოჩა ჯეირანაშვილი) ძალაში დატოვა აღნიშნული გადაწყვეტილება.

---

[1] ირაკლი კობახიძის დედა, თამარ ზაალიშვილი TV პირველს სასამართლოში უჩივის, იხ. https://bit.ly/3VySs7X [ბოლო ნახვა 04.12.2022].

[2] ირაკლი კობახიძის დედამ "TV პირველს" სასამართლოში მოუგო, იხ. https://bit.ly/3P3njXP [ბოლო ნახვა 04.12.2022].

[3] Commission tackles abusive lawsuits against journalists and human rights defenders 'SLAPPs', იხ.: https://bit.ly/3F3WW0v [ბოლო ნახვა 24.11.2022].

[4] ამავე საქმეზე მოპასუხე იყო ასევე პოლიტიკოსი ლევან ხაბეიშვილი, რომლის წინააღმდეგ ასევე დაკმაყოფილდა სარჩელი.

საქმე ეხება სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ხელმძღვანელის, გრიგოლ ლილუაშვილის სარჩელს, რომლითაც მან სადავოდ გახადა შპს „ფორმულას“ და შპს „მთავარი არხის“ ეთერში გავრცელებული განცხადებები, რომლებიც დანაშაულებრივ სქემაში, ე.წ ქოლ-ცენტრების საქმეში, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის და მისი როგორც ამ უწყების ხელმძღვანელის, სავარაუდო მფარველობას უკავშირდება.

მოპასუხე მედიის წარმომადგენლები უთითებდნენ, რომ მსგავს საქმეებში სასამართლომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა გაამახვილოს მედიის ფუნქციაზე - გაავრცელოს საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საკითხები. მნიშვნელოვანია ეთერში გასული განცხადებების მიზანიც - შესაბამისი უწყებების მხილება სავარაუდო დანაშაულებრივ ქმედებებში და უფლებამოსილი ორგანოებისთვის მიმართვა გამოძიების დაწყების თაობაზე. ამდენად, ის არ იყო მიმართული რომელიმე კონკრეტული პირის წინააღმდეგ. ამასთანავე, ჟურნალისტების მიერ გაკეთებული განცხადებები წარმოადგენდა დასკვნებს, რასაც საკმარის ფაქტობრივ გარემოებებს აყრდნობდნენ და რის გამოც დაუშვებელია დაეკისროთ სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობა.

სამწუხაროდ, სასამართლომ არ გაიზიარა მედიის წარმომადგენლების პოზიციები. მოსამართლე დაეთანხმა მოსარჩელეს და აღნიშნა, რომ ჟურნალისტის მიერ გაკეთებული განცხადებებით მოსარჩელეს შეელახა პატივი, ღირსება და საქმიანი რეპუტაცია.

შპს „ფორმულას“ ინტერესებს სასამართლოში GDI იცავს. აღსანიშნავია, რომ სასამართლო დავის მიმდინარეობისას კიდევ რამდენიმე ძირითადი პრობლემა გამოიკვეთა[5], მათ შორის დაჩქარებული სამართალწარმოება, ეროვნული კანონმდებლობის და ევროსასამართლოს პრაქტიკის მანიპულაციური განმარტება და სხვა. ხელისუფლების წარმომადგენლების მხრიდან უსაფუძვლო სარჩელების შეტანის ტენდენციის გათვალისწინებით კი, აღნიშნული გადაწყვეტილება ქმნის განსაკუთრებით საშიშ პრეცედენტს, ვინაიდან არსებობს იმის მოლოდინი, რომ საჯარო პირების მხრიდან გაიზრდება სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების მართლმსაჯულების ობიექტად ქცევის შემთხვევები.

GDI განაგრძობს საქმის წარმოებას ზემდგომ ინსტანციაში.

1.1.2. ნინო წილოსანის სარჩელი შოთა დიღმელაშვილის წინააღმდეგ

ცილისწამების საფუძვლით, სასამართლოს სარჩელით ასევე მიმართა საქართველოს პარლამენტის წევრმა, ნინო წილოსანმა. მოსარჩელე სადავოდ ხდიდა სამოქალაქო აქტივისტის, შოთა დიღმელაშვილის განცხადებებს. სამოქალაქო აქტივისტმა გადაცემა „სირცხვილიას“ პირდაპირ ეთერში განაცხადა, რომ ნინო წილოსანი იყო შპს „სანოს“ მფარველი, ე.წ „კრიშა“. ნინო წილოსანი სარჩელში უთითებდა, რომ მსგავსი ინფორმაციის გავრცელებით მას შეელახა პატივი და ღირსება, ამიტომ, გავრცელებული ცნობების უარყოფა მოითხოვა.

2022 წლის 29 აპრილს, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლემ, ზაალ მარუაშვილმა დააკმაყოფილა ნინო წილოსანის სარჩელი და, შესაბამისად, მის მიმართ ცილისწამების ფაქტი დაადგინა.[6]

შოთა დიღმელაშვილის ინტერესებს პირველი ინსტანციის სასამართლოში GDI იცავდა. მოპასუხემ სასამართლოში ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ განცხადებების

[5] ხელისუფლება კრიტიკულ მედიას სასამართლოს გზით ებრძვის, იხ.: https://bit.ly/3u3iRyG, bit.ly/3H7mds8 [ბოლო ნახვა 24.11.2022].

[6] ხელისუფლება კრიტიკული აზრების გაჟღერებისთვის აქტივისტებს სჯის, იხ.: https://bit.ly/3iegWVt [ბოლო ნახვა 24.11.2022].

გაკეთების დროს ის მოქმედებდა როგორც ჟურნალისტი და საზოგადოებას გააცნო საჯარო წყაროებიდან მიღებული ინფორმაცია „ქართული ოცნების“ დეპუტატის კავშირის შესახებ შპს „სანოსთან“, რომელმაც, აუდიტის სამსახურის მონაცემებით, სახელმწიფოს მიერ ქუთაისელი უსახლკაროებისთვის გამოყოფილი თანხიდან დაახლოებით ორი მილიონი ლარით მეტი აიღო. მოპასუხემ განმარტა, რომ მისი დასკვნები საჯარო წყაროებში არსებულ ინფორმაციას ეყრდნობოდა. ამასთანავე, იმ გარემოებაზეც მიუთითა, რომ ნინო წილოსანი მაღალი თანამდებობის მქონე პირია, რომელსაც მსგავსი განცხადებების მიმართ თმენის მეტი ვალდებულება აქვს.

სამწუხაროდ, სასამართლომ უგულებელყო ევროსასამართლოსა და ეროვნული სასამართლოების პრაქტიკა და მსგავსი გადაწყვეტილების მიღებით გამოწვეული საფრთხეები არ გაითვალისწინა. მოსამართლე დაეთანხმა მოსარჩელეს და აღნიშნა, რომ გაკეთებული განცხადება ობიექტური დამკვირვებლისთვის აღიქმებოდა ფაქტად, რომლითაც ნინო წილოსანს შეელახა პატივი და ღირსება, რითაც სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების უსაფუძვლო შეზღუდვის კიდევ ერთი საშიში პრეცედენტი შექმნა.

1.1.3. კახა კალაძე TV პირველის და მაია მამულაშვილის წინააღმდეგ

კრიტიკული მედიის წინააღმდეგ სასამართლოს სარჩელით თბილისის მერმა, კახა კალაძემაც მიმართა[7]. კახა კალაძე „ტვ პირველისა“ და ჟურნალისტ მაია მამულაშვილის წინააღმდეგ შეტანილი სარჩელით სადავოდ ხდიდა იმ განცხადებებს, რომლებიც უკავშირდება თბილისის მერიის მიერ გაცილებით ძვირად შეძენილ ავტობუსებს (სხვა ქვეყნებთან შედარებით) და აღიშნული გარემოების შესაძლო კავშირს თბილისის მერთან. თბილისის მერი მორალური ზიანის ანაზღაურების სახით 100 000 ლარს ითხოვდა.

საყურადღებოა, რომ ჟურნალისტმა კომენტარი გააკეთა მას შემდეგ, რაც საზოგადოებაში და მედიაში მიმდინარეობდა აქტიური დისკუსია იმის შესახებ, თუ რა გარემოებებმა გამოიწვია თბილისის მერიის მიერ ავტობუსების იმაზე მაღალ ფასად შესყიდვა, ვიდრე ეს მოხდა სხვა ქვეყნებში. ამასთან, ჟურნალისტის მოსაზრება ეყრდნობოდა მათ შორის საჯაროდ გავრცელებულ ინფორმაციას და ოფიციალურ წყაროებს.[8]

ამის მიუხედავად, 2022 წლის 30 ნოემბერს სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხის პოზიციები, დააკმაყოფილა კახა კალაძის სარჩელი და მოპასუხეებს სოლიდარულად 15 000 ლარის ოდენობით მორალური ზიანის ანაზღაურება დააკისრა. GDI აგრძელებს საქმის წარმოებას ზემდგომ ინსტანციებში.

ხაზგასასმელია, რომ ცილისწამების საფუძვლით კალაძის გარდა კიდევ თერთმეტმა მერმა (წყალტუბოს, ქუთაისის, ქარელის, ასპინძის, ადიგენის, ჭიათურის, ფოთის, ყვარლის, ნინოწმინდის, ბორჯომისა და მარნეულის) შეიტანა სარჩელი ერთიმეორის მიყოლებით, ამჯერად „მთავარი არხის“ და ნიკა გვარამიას წინააღმდეგ. თითოეულმა მათგანმა მორალური ზიანის ანაზღაურებისთვის, ერთი და იგივე თანხა - 55 555 ათასი ლარი მოითხოვა,[9] რაც აშკარად მიუთითებს ხელისუფლების წარმომადგენლების მცდელობაზე კრიტიკული მედიისთვის ფინანსური დაბრკოლებების შექმნით ჩაახშონ კრიტიკული აზრი.

---

[7] კალაძე TV პირველსა და ჟურნალისტ მაია მამულაშვილს სასამართლოში უჩივის, იხ.: https://bit.ly/3GKZxO9 [ბოლო ნახვა 24.11.2022].

[8] მაია მამულაშვილი აცხადებს, რომ კახა კალაძის შესახებ სატელევიზიო ეთერში მის მიერ გაკეთებული განცხადება საჯაროდ გავრცელებულ ინფორმაციას ეყრდნობოდა, იხ.: https://bit.ly/3gG0Inx [ბოლო ნახვა 24.11.2022].

[9] სუს-ის უფროსი, 11 მერი და ერთი ინსპექტორი ჟურნალისტების წინააღმდეგ - რა ხდება, როცა მოხელეები მედიას უჩივიან? იხ.: https://bit.ly/3OCFq6C [ბოლო ნახვა 24.11.2022].

ამდენად, საგანგაშოა არამხოლოდ გაზრდილი სარჩელების მაჩვენებელი, არამედ ის ფაქტი რომ სასამართლოები დაჩქარებული წესით, ეროვნული და ევროპული სტანდარტების უგულებელყოფით აკმაყოფილებენ ასეთ სარჩელებს და სრულად აიგნორებენ იმ საფრთხეებს რაც მედიის თავისუფლების შეზღუდვას ახლავს თან.

1.2. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საქმიანობა

1.2.1 პოლიტიკური რეკლამის ცნება და მაუწყებელთა დაჯარიმება „პოლიტიკური რეკლამის“ განთავსებისთვის

წინა წლის საანგარიშო პერიოდის მსგავსად[10], საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ 2022 წლის საანგარიშო პერიოდშიც შეინიშნებოდა მაუწყებელთა მიერ გავრცელებული აუდიო-ვიზუალური მასალის „პოლიტიკურ რეკლამად“ კვალიფიკაციის ფარგლებში გამოვლენილი საგანგაშო პრაქტიკა.

ამ თვალსაზრისით, საყურადღებოა საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2022 წლის 23 აგვისტოს გადაწყვეტილება, რითაც კომისიამ დააკმაყოფილა მმართველი პარტიის, "ქართული ოცნების" მოთხოვნა კამპანია „შინ ევროპისკენ" კლიპის ეთერში განთავსების გამო სამართალდამრღვევად გამოცხადებულიყო სამი კრიტიკული მაუწყებელი - „ფორმულა", „მთავარი არხი" და „ტელეკომპანია პირველი.[11] კომისიამ ტელეკომპანია პირველისა და "ფორმულას" წინააღმდეგ სანქციის სახით "გაფრთხილება" გამოიყენა, ხოლო "მთავარი არხი" სოლიდური თანხით, 118 700 ლარით დააჯარიმა.[12]

სადავო რგოლი მაუწყებლების ეთერში 24 ივნისის პროდასავლური და ანტირუსული აქციის ანონსის სახით გადაიცა. "ქართული ოცნების" შეფასებით, რომელიც კომისიამაც გაიზიარა, 2022 წლის 23-25 ივნისს გავრცელებული მასალა წინასაარჩევნო/პოლიტიკური შინაარსისაა, ემსახურება "ქართული ოცნების" მიმართ უარყოფითი დამოკიდებულებების გაღვივებას საზოგადოებაში და მიზნად ისახავს სამომავლო არჩევნებში არჩევისათვის ხელის შეშლას.

სამწუხაროდ, კომუნიკაციების კომისიამ მისი წინარე პრაქტიკის მსგავსად, არც ამ შემთხვევაში გაითვალისწინა მაუწყებლების სამართლებრივად დასაბუთებული პოზიცია და ის საფრთხეები, რაც თან ახლავს მედიის თავისუფლების უკანონო, დაუსაბუთებელ შეზღუდვას. კომისიამ არ გაითვალისწინა არც ის, რომ სადავო კლიპი სოციალური რეკლამის ცნებაში ექცეოდა. ამასთან, საყურადღებოა, რომ კომისიამ საკითხი განიხილა და გადაწყვეტილება მიიღო ისე, რომ ამ საკითხის მომწესრიგებელი რეგულირება კანონმდებლობაში არ არსებობს. შესაბამისად, კომისიას არ გააჩნია არც იმის მანდატი წინასაარჩევნო პერიოდის მიღმა, შეაფასოს პოლიტიკური რეკლამის განთავსების საკითხი, ვინაიდან თავად პოლიტიკური რეკლამა მხოლოდ წინასაარჩევნო პერიოდით არის შემოფარგლული. შედეგად, კომისია გასცდა საკუთარ უფლებამოსილებას და შეითავსა საქართველოს პარლამენტის, ნორმაშემოქმედის ფუნქცია.[13]

---

[10] საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა, ადამიანის უფლებები საქართველოში 2021, გვ. 13, იხ. https://bit.ly/3VLeh3V [ბოლო ნახვა 02.12.2022].

[11] შპს „ტელეკომპანია პირველის", შპს „მთავარი არხის" და შპს „ფორმულას" მიმართ მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს" საჩივრის განხილვის თაობაზე, იხ. https://bit.ly/3H2v8et [ბოლო ნახვა 02.12.2022].

[12] იქვე

[13] კომუნიკაციების კომისია აგრძელებს მედიის თავისუფლების წინააღმდეგ ბრძოლას, იხ. https://bit.ly/3ERPtQM [ბოლო ნახვა 02.12.2022].

ამ საქმეზე GDI ტელეკომპანია „ფორმულას“ ინტერესებს იცავს. სამივე კომპანიამ კომუნიკაციების კომიის გადაწყვეტილება სასამართლოში გაასაჩივრა, თუმცა ამ დრომდე სასამართლოში ამ საქმეზე სხდომა არ ჩანიშნულა.

1.2.2. კომისიის მიერ ომის დანაშაულის დადებითად შეფასების/ კრიმინალის გაიდეალების ფაქტზე დისკრეციული უფლებამოსილების არაჯეროვნად განხორციელება

2022 წლის 24 თებერვალს, რუსეთის ფედერაციის მიერ უკრაინის რესპუბლიკის წინააღმდეგ ომის დაწყების პარალელურად, შპს „ალტ-ინფოს“ ეთერში გაკეთდა განცხადებები, რომლებიც მორალურად და პოლიტიკურად ამართლებდა/დადებითად აფასებდა რუსეთის მიერ უკრაინის სუვერენიტეტის ხელყოფასა და მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ ჩადენილ ომის დანაშაულებს. საქართველოს კანონმდებლობითა და კომუნიკაციების ეროვნული კომისიის პრაქტიკით, პროგრამებს, რომლებიც დანაშაულებრივ ქმედებებს ამართლებს, დადებითად აფასებს, ან კრიმინალს აიდეალებს, არასრულწლოვნებზე მავნე ზეგავლენის ეფექტი აქვს. მაუწყებელი ვალდებულია მსგავსი პროგრამები, სულ მცირე, დილის 6-დან ღამის 12 სთ-მდე მონაკვეთში არ განათავსოს. გავრცელების შემთხვევაში კი, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია ვალდებულია მაუწყებელს სამართლებრივი პასუხისმგებლობა დააკისროს.

GDI-ს თავმჯდომარემ, ედუარდ მარიკაშვილმა, საჩივრით მიმართა საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას და გავრცელებული განცხადებების გამო შპს „ალტ ინფოს“ სამართალდამრღვევად ცნობა მოითხოვა.[14] სადავოდ ქცეული განცხადებები დადებითად აფასებდა/ამართლებდა დანაშაულებს, რომლებიც გათვალისწინებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 404-413-ე მუხლებით. სამართლებრივად დაუსაბუთებელი მსჯელობის საფუძველზე, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ ედუარდ მარიკაშვილის სარჩელი არ მიიღო არსებითად განსახილველად. კომისიის შეფასებით, „ალტ-ინფოს“ განცხადებები დანაშაულის გამართლებაზე მეტია და ომის პროპაგანდას წარმოადგენს. ომის პროპაგანდის აკრძალვის საკითხზე კი, კანონდებლობის მიხედვით, არა კომისიას, არამედ თვითრეგულირების ფარგლებში, თავად მაუწყებელს, ამ შემთხვევაში, „ალტ-ინფოს“ უნდა ემსჯელა.

ამ საქმეზე კომისიის მიერ განვითარებული სამართლებრივი არგუმენტაცია ეწინააღმდეგება, როგორც კანონმდებლობის მოთხოვნებს, ისე დისკრეციული უფლებამოსილების ჯეროვნად განხორციელების წესსა და კომისიის წინარე პრაქტიკას. კომისიას სადავოდ ქცეული თითოეული განცხადება ინდივიდუალურად უნდა შეეფასებინა. გარდა ამისა, კონკრეტული განცხადებების „ომის პროპაგანდად“ დაკვალიფიცირება არ გამორიცხავს იმავე ან სხვა განცხადებების კვალიფიკაციას დანაშაულის დადებითად შეფასებად/გამართლებად, განსაკუთრებით იმ პირობებში, როდესაც კომისია ეთანხმება საჩივრის ავტორს, რომ სადავოდ ქცეული განცხადებები დადებითად აფასებს დანაშაულს. კომისიის გადაწყვეტილება უკვე გასაჩივრდა თბილისის საქალაქო სასამართლოში. სარჩელის ფარგლებში, ედუარდ მარიკაშვილი ითხოვს კომისიის მიერ გამოცემული ინდივიდუალური სამართლებრივი აქტის ბათილად გამოცხადებას და შპს „ალტ-ინფოს“ სამართალდამრღვევად ცნობას.

[14] “ალტ-ინფო” პუტინის რუსეთის მიერ კაცობრიობის წინააღმდეგ უკრაინაში ჩადენილ დანაშაულებს ამართლებს, იხ. https://bit.ly/3VXqJhf [ბოლო ნახვა 06.12.2022].

1.3. ჟურნალისტებსა და მედიის წარმომადგენლებზე განხორციელებული თავდასხმები

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, ჟურნალისტებსა და მედიის წარმომადგენლებზე თავდასხმის არაერთი ფაქტი გამოვლინდა. საგულისხმოა, რომ ჟურნალისტების მიმართ აგრესიასა და ფიზიკურ თუ სიტყვიერ თავდასხმებს განსაკუთრებით ახალისებს სახელმწიფო წარმომადგენლების მიერ მედიის წარმომადგენლების წინააღმდეგ გაკეთებული დისკრედიტაციული და ძალადობის წამახალისებელი განცხადებები. მაგალითად, შემაშფოთებელია „მთავარი არხის“ ჟურნალისტის მიერ დასმულ კითხვაზე ირაკლი კობახიძის 2022 წლის 25 ივლისის კომენტარი: „ქალი აღარ ხარ რა… ქალის სახე დაკარგე… რომ ლაპარაკობ, პირი მოიწმინდე… სააკაშვილივით გაქვს პირი, დაემსგავსე ყველაფრით შენს ბელადს. სააკაშვილს ჰგავხარ პირითაც“[15]. მსგავსი განცხადებები მაღალი პოლიტიკური თანამდებობის მქონე პირებისგან ცალსახად უწყობს ხელს საზოგადოებაში ჟურნალისტების მიმართ უარყოფით დამოკიდებულებასა და აგრესიას.

ამ კუთხით, საყურადღებოა 2022 წლის 17 მარტის თავდასხმა ტელეკომპანია „მთავარი არხის“ ზუგდიდის კორესპონდენტ, ემა გოგოხიასა და მის ოპერატორზე. ჟურნალისტის თქმით, ძალადობრივი პლატფორმა „ალტ-ინფოს“ პარტიის „კონსერვატიული მოძრაობის“ ოფისთან თავს უცნობი პირები დაესხნენ, ფიზიკურად იძალადეს მასზე და სცემეს ოპერატორი.[16] ფაქტზე სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 154-ე მუხლის მეორე ნაწილით (ჟურნალისტისათვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლა ჩადენილი ძალადობის მუქარით ან სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით) დაიწყო[17], რის შემდეგაც ორი პირი დააკავეს[18].

ამასთან, 2022 წლის 17 მარტს ცნობილი გახდა, რომ თბილისში, ერთ-ერთ კაფეში ინტერვიუს ჩაწერისას, ერთ-ერთმა იქ მყოფმა სტუმარმა „ფორმულას“ თანამშრომლის მიმართ აგრესია გამოხატა და შემდეგ გადამღებ ჯგუფს ფიზიკურად გაუსწორდა. სცემეს „ფორმულას“ ორი ოპერატორი, ფიზიკური დაზიანებები აღენიშნებოდა ჟურნალისტ ნანო ჩაკვეტაძესაც.[19] პროკურატურამ „ფორმულას" ჟურნალისტსა და ოპერატორებზე თავდამსხმელს ბრალი წარუდგინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 154-ე მუხლის მე-2 ნაწილითა (ჟურნალისტისათვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლა ჩადენილი ძალადობის მუქარით ან სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით) და 156-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (დევნა ძალადობით ან ძალადობის მუქარით).[20]

ასევე აღსანიშნავია, 2022 წლის 5 ივლისს ,,TV მონიტორინგის“ გადამღებ ჯგუფზე, შოთიკო სადაღაშვილსა და თორნიკე გელიტაშვილზე ჟურნალისტური საქმიანობის დროს განხორციელებული თავდასხმის ფაქტი.[21] ჟურნალისტის ინფორმაციით, მოძალადეები ძალადობრივი და პრორუსული ჯგუფის ,,ალტ-ინფოს“ პარტიის მხარდამჭერებად გაეცნენ, არხის სარედაქციო, პროევროპული პოლიტიკის გამო აკრიტიკებდნენ და ხელს

---

[15] ირაკლი კობახიძის პასუხი „მთავარი არხის“ ჟურნალისტის კითხვაზე, იხ. https://bit.ly/3Vxgssd [ბოლო ნახვა 02.12.2022].

[16] ემა გოგოხია: ზუგდიდში „ალტ-ინფოს“ პარტიის ოფისთან მუშაობისას მე და ჩემს ოპერატორს თავს დაგვესხნენ, იხ. https://bit.ly/3iDqjOI [ბოლო ნახვა 02.12.2022].

[17] სპეციალური საგამოძიებო სამსახურის 2022 წლის 18 მარტის განცხადება, იხ. https://bit.ly/3ioCGOg [ბოლო ნახვა 02.12.2022].

[18] "მთავარი არხის" ჟურნალისტებზე თავდასხმის ბრალდებით "ალტ-ინფოს" პარტიის წევრი დააკავეს, იხ. https://bit.ly/3VQMizE [ბოლო ნახვა 02.12.2022].

[19] თბილისში, ინტერვიუს ჩაწერისას, ფორმულას გადამღებ ჯგუფს თავს დაესხნენ, იხ. https://bit.ly/3EZpqHJ [ბოლო ნახვა 02.12.2022].

[20] პროკურატურამ "ფორმულას" ჟურნალისტსა და ოპერატორებზე თავდამსხმელს ბრალი წარუდგინა, იხ. https://bit.ly/3iAonGm [ბოლო ნახვა 02.12.2022].

[21] ძალადობრივი და პრორუსული ,,ალტ-ინფოს“ პარტიის მთვრალი წევრები და მხარდამჭერები ,,ტვ მონიტორინგის“ გადამღებ ჯგუფს თავს დაესხნენ, იხ. https://bit.ly/3H7YkAW [ბოლო ნახვა 02.12.2022].

უშლიდნენ პროფესიულ საქმიანობაში.[22] სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა გამოძიებო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 154-ე მუხლის პირველი ნაწილით (ჟურნალისტისათვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლა) დაიწყო.[23]

საგულისხმოა ასევე პოლიციელების მხრიდან ჟურნალისტებზე თავდასხმის ფაქტიც, რომელიც 2022 წლის 18 თებერვალს კასპის საკრებულოში დაწყებულ ხმაურს მოჰყვა.[24] ადგილზე მისულმა პოლიციელებმა ოპოზიციური პარტიის წარმომადგენლები და სამოქალაქო აქტივისტები დარბაზიდან ძალის გამოყენებით გაიყვანეს, რა დროსაც მათ დაზიანებები მიაყენეს ტელეკომპანია „ფორმულას“ ჟურნალისტსაც. ამასთან, დაზიანდა ტელეკომპანია „მთავარი არხის“ აპარატურაც.[25]

საგულისხმოა ჟურნალისტთა წინააღმდეგ განხორციელებული მუქარის შემთხვევებიც. მაგალითად, 2022 წლის 10 მაისს "ტელეკომპანია პირველის" წამყვანმა ვიკა ბუკიამ სოციალურ ქსელში გამოაქვეყნა მიმოწერა, სადაც ჩანს თუ როგორ ემუქრებოდა მას უცნობი პირი სიცოცხლის მოსპობით.[26] ფაქტზე სპეციალურ საგამოძიებო სამსახურში გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 154-ე მუხლის მე-2 ნაწილითა (ჟურნალისტისათვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლა ჩადენილი ძალადობის მუქარით ან სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით) და 157 პრიმა მუხლის პირველი ნაწილით (პირადი ცხოვრების საიდუმლოს ხელყოფა) დაიწყო.[27]

ზემოაღნიშნული შემთხვევები ცხადყოფს, რომ მედიის წარმომადგენლებს არ ეძლევათ თავისუფალ, უსაფრთხო გარემოში მუშაობის შესაძლებლობა. ჟურნალისტების მიმართ საზოგადოების უარყოფით დამოკიდებულებასა და თავდასხმების მცდელობებს კი თავისთავად ხელს უწყობს სახელმწიფოს მოქმედება თუ უმოქმედობა, რაც, ერთი მხრივ, ხელისუფლების წარმომადგენლების მხრიდან კრიტიკული მედიის წინააღმდეგ გაკეთებულ დისკრედიტაციულ განცხადებებში, ხოლო, მეორე მხრივ, საგამოძიებო უწყებების მიერ ძალადობის ფაქტებზე არასათანადო რეაგირებაში გამოიხატება.

1.4. „მაუწყებლობის შესახებ“ კანონში ინიცირებული ცვლილებები

2020 წლის 7 სექტემბერს „ქართული ოცნების“ დეპუტატებმა დააინიცირეს საკანონმდებლო ცვლილებები „მაუწყებლობის შესახებ“ კანონში, ხოლო პარლამენტმა ცვლილებები პირველი მოსმენით მიიღო 20 სექტემბერს.[28] განმარტებითი ბარათის თანახმად, კანონპროექტის მიზანი არის საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების ხელშეკრულებით დადგენილი ვალდებულების, კერძოდ აუდიოვიზუალური მედია მომსახურებების შესახებ 2010/13/EU ევრო დირექტივასთან „მაუწყებლობის შესახებ“ კანონის შესაბამისობაში მოყვანა.[29] კანონპროექტით დგინდება, მათ შორის, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის (კომკომის) გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ

---

[22] კოალიცია ,,TV მონიტორინგის“ გადამღებ ჯგუფზე თავდასხმას ეხმიანება, იხ. https://bit.ly/3umKL9a [ბოლო ნახვა 02.12.2022].

[23] სპეციალური საგამოძიებო სამსახურის 2022 წლის 05 ივლისის განცხადება, იხ. https://bit.ly/3iwCk8o [ბოლო ნახვა 02.12.2022].

[24] საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის 2022 წლის 18 თებერვლის განცხადება, იხ. https://bit.ly/3F23g7F [ბოლო ნახვა 02.12.2022].

[25] კასპის საკრებულოში დაპირისპირებისას ჟურნალისტები დაშავდნენ, იხ. https://bit.ly/3B1iKrl [ბოლო ნახვა 02.12.2022].

[26] TV პირველის წამყვანს, ვიკა ბუკიას სიცოცხლის მოსპობით ემუქრებიან, იხ. https://bit.ly/3VrrM96 [ბოლო ნახვა 02.12.2022].

[27] "აღიძრა საქმე... იმედია, დავადგენთ ვინ მემუქრება" - ვიკა ბუკია ახალ დეტალებს ასაჯაროებს, იხ. https://bit.ly/3EYwwvZ [ბოლო ნახვა 02.12.2022].

[28] იხ. კანონპროექტი: https://parliament.ge/legislation/24615 [ბოლო ნახვა 19.11.2022].

[29] განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონის პროექტზე ,,მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე, გვ. 1-3, იხ.: https://bit.ly/3TOzfxe [ბოლო ნახვა 19.11.2022].

ძალაში შესვლა, კომკომის მიერ ზედამხედველობის განხორციელება პასუხის უფლებაზე და სიძულვილის ენის რეგულირება.[30]

ზემოხსენებული კანონპროექტი გააკრიტიკა GDI-იმ. GDI-ის პოზიციით, კანონპროექტის შეფასებისას მხედველობაში მისაღებია ქვეყანაში არსებული კონტექსტი - ევროკავშირის კანდიდატობის სტატუსის მიღების წინაპირობა თავისუფალი, პროფესიონალური, პლურალისტური და დამოუკიდებელი მედია გარემოს უზრუნველყოფის შესახებ[31] და გაუარესებული მედია გარემო, რომელსაც უთითებს მედიის უფლებადამცველი საერთაშორისო ორგანიზაციის „რეპორტიორები საზღვრებს გარეშე“ ანგარიში.[32] აღნიშნული კონტექსტის გათვალისწინებით, GDI მიიჩნევს, რომ კანონპროექტი სცდება ევროკავშირის აუდიოვიზუალური მედია მომსახურების შესახებ დირექტივის მიზნებს, ეწინააღმდეგება ევროკავშირის მიერ დადგენილ ზემოაღნიშნულ წინაპირობას, აძლიერებს რეპრესიულ ელემენტებს მედიაგარემოს რეგულირების კონტექსტში და გაუმართლებელ ტვირთს აწესებს მაუწყებლებზე. კერძოდ, კანონპროექტით კომკომის გადაწყვეტილებების დაუყოვნებლივი აღსრულების შემოღება არ შეესაბამება არსებითად მსგავსი საკითხის შესახებ ვენეციის კომისიის დასკვნას, რომლითაც უარყოფითად შეფასდა კომკომის სამართლებრივი აქტის აღსრულების შეუჩერებელობა გასაჩივრების შემთხვევაში.[33] ვენეციის კომისიამ აღნიშნა, რომ კომისიის აქტის სასამართლოში გასაჩივრება უნდა იწვევდეს ამ აქტის მოქმედების ავტომატურ შეჩერებას, და ამის შემდგომ შუამდომლობის შემთხვევაში სასამართლომ უნდა იმსჯელოს, რამდენად აუცილებელია შეჩერებული გადაწყვეტილების დაუყოვნებლივი აღსრულება.[34] გარდა ამისა, საკანონმდებლო ცვლილებებით პასუხის უფლების გადასვლა თვითრეგულირებიდან კომკომის უფლებამოსილებაში გაუგებარი და დაუსაბუთებელია იქიდან გამომდინარე, რომ ზემოაღნიშნული დირექტივა სახელმწიფოებს აძლევს არჩევის შესაძლებლობას პასუხის უფლების მექანიზმსა და თანაზომადი ღონისძიებებით ("Or equivalent remedies") მცდარი ფაქტების უარყოფას შორის,[35] ხოლო მოქმედი ეროვნული კანონმდებლობა პირს ისედაც ანიჭებს თანაზომად საშუალებებს საკუთარი უფლებების დასაცავად, როდესაც მაუწყებელი იღებს უარყოფით გადაწყვეტილებას ფაქტების უარყოფასთან დაკავშირებით.[36] ბოლოს, კანონპროექტით დგინდება კომკომის მიერ სიძულვილის ენის რეგულირება, რაც არ არის ზემოხსენებული დირექტივის პირდაპირი მოთხოვნა. პირიქით, 2018/1808 დირექტივაში, რომლითაც შეიცვალა აუდიოვიზუალური მედია მომსახურების 2010/13/EU დირექტივა, პირდაპირ წერია, რომ წახალისებულია (encourage) თვითრეგულირება და თანარეგულირება.[37] ამასთანავე, 2018/1808 დირექტივის თანახმად, წევრი სახელმწიფოების მიერ 2010/13/EU დირექტივის საფუძველზე მიღებული ნებისმიერი ზომა პატივს უნდა სცემდეს გამოხატვისა და ინფორმაციის თავისუფლებას და

---

[30] „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე კანონპროექტის 1-ლი მუხლის მე-5, 24-ე, 25-ე და 26-ე პუნქტები, იხ.: https://bit.ly/3EmHY4b [ბოლო ნახვა 19.11.2022].

[31] მოხსენებითი ბარათი (memo): საქართველო, იხ.: https://bit.ly/3tHgjpV [ბოლო ნახვა 19.11.2022].

[32] Reporters Without Borders, Georgia, იხ.: https://bit.ly/3hU4l9B [ბოლო ნახვა 19.11.2022].

[33] Joint Opinion of the Venice Commission and the Directorate General of Human Rights and Rule of Law (DGI) of the Council of Europe on the recent amendments to the Law on electronic communications and the Law on broadcasting, 2021, Strasbourg, § 69, იხ.: https://bit.ly/3UP6GkU [ბოლო ნახვა 19.11.2022].

[34] იქვე.

[35] Directive 2010/13/EU of the European Parliament and of the Council of 10 March 2010 on the coordination of certain provisions laid down by law, regulation or administrative action in Member States concerning the provision of audiovisual media services (Audiovisual Media Services Directive) (codified version), article 28, იხ.: https://bit.ly/3GqrM4F [ბოლო ნახვა 19.11.2022].

[36] „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ კანონით ცილისწამების მოწესრიგება და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლი.

[37] DIRECTIVE (EU) 2018/1808 OF THE EUROPEAN PARLIAMENT AND OF THE COUNCIL of 14 November 2018 amending Directive 2010/13/EU on the coordination of certain provisions laid down by law, regulation or administrative action in Member States concerning the provision of audiovisual media services (Audiovisual Media Services Directive) in view of changing market realities, შესავალი/პრეამბულა § 14, იხ.: https://bit.ly/2VQ7qIq [ბოლო ნახვა 19.11.2022].

მედია პლურალიზმს,[38] ხოლო ეროვნული მარეგულირებელი ორგანო უნდა იყოს ხელისუფლებისგან და ნებისმიერი სხვა საჯარო თუ კერძო დაწესებულებისგან ფუნქციურად დამოუკიდებელი და თავის უფლებამოსილებებს უნდა იყენებდეს მიუკერძოებლად.[39] ამის საწინააღმდეგოდ, კანონპროექტით იქმნება კომკომის მიერ სიძულვილის ენის აკრძალვის ბოროტად გამოყენებისა და გამოხატვისა და მედიის თავისუფლების თვითნებურად შეზღუდვის რისკი, რომელიც გამომდინარეობს კომისიის წარსული საქმიანობიდან[40] და კომისიის არასათანადო დამოუკიდებლობის თაობაზე არსებული ეჭვებიდან.[41] GDI-ის გარდა, კანონპროექტი გააკრიტიკეს სხვა სამოქალაქო ორგანიზაციებმაც მედია ადვოკატირების კოალიციის ფარგლებში.[42] ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ GDI-ის შეფასებები გაზიარებულია ევროსაბჭოს ექსპერტთა პირველად მოსაზრებაში „მაუწებლობის შესახებ" კანონში შესატანი ცვლილებების 3 ძირითადი ასპექტის შესახებ. კერძოდ, ევროსაბჭოს ექსპერტები იზიარებენ GDI-ს პოზიციას, რომ: დირექტივით არ არის მოთხოვნილი სიძულვილის ენის კონტროლი აუცილებლად სახელმწიფო მარეგულირებელი ორგანოს მიერ და დასაშვებია ალტერნატიული მექანიზმი; პასუხის უფლება არ უნდა გადავიდეს კომისიის ექსკლუზიურ რეგულირებაში და საჭიროა კომისიის გადაწყვეტილებების გასაჩივრებისას მათი აღსრულების შეჩერების შენარჩუნება (გარკვეული სანქციების შემთხვევებში მაინც).[43]

ზემოაღნიშნული კრიტიკისა და მედია სექტორის წარმომადგენლებთან შეთანხმებული ალტერნატიული წინადადების წარდგენის მიუხედავად, საქართველოს პარლამენტმა მეორე მოსმენით მაინც მიიღო კანონპროექტი, რომელშიც ცვლილების სახით მხოლოდ ის ასახა, რომ პასუხის უფლებასა და სიძუვლილის ენასთან დაკავშირებული დარღვევების გამო პასუხისმგებლობის დაკისრება 2023 წლის 1 ივლისამდე გადავადდეს.[44]

2. შეკრებისა და მანიფესტაციების თავისუფლება

2.1. ადმინისტრაციული წესით დაკავების პრაქტიკა აქციების წინააღმდეგ

2021 წლის მსგავსად, 2022 წელს გაგრძელდა სამართალდამცავთა მიერ ადმინისტრაციული წესით აქციის მონაწილეთა დაკავების პრაქტიკა, რომელიც ხელისუფლების საწინააღმდეგო კრიტიკის ჩასახშობად გამოიყენება. ხსენებული პრაქტიკა აღწერილია და შეფასებულია ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ, მათ შორის GDI-ის მონაწილეობით დაწერილ ანგარიშში, რომელიც მომზადდა აქტივისტების მხარდასაჭერად ერთობლივი პროექტით შექმნილი იურიდიული დახმარების ქსელის ფარგლებში.[45]

---

[38] იქვე, შესავალი/პრეამბულა § 61.

[39] DIRECTIVE 2010/13/EU OF THE EUROPEAN PARLIAMENT AND OF THE COUNCIL of 10 March 2010 on the coordination of certain provisions laid down by law, regulation or administrative action in Member States concerning the provision of audiovisual media services (Audiovisual Media Services Directive) (codified version), article 30.

[40] კომკომის საქმიანობის შეფასების თაობაზე იხ.: Georgian Democracy Initiative, Freedom of Media in Georgia (Analysis of cases litigated by GDI between 2021 and January-May of 2022), იხ.: https://bit.ly/3GwEUFo [ბოლო ნახვა 19.11.2022].

[41] Human Rights Committee, Concluding observations on the fifth periodic report of Georgia, 13 September 2022, CCPR/C/GEO/CO/5 § 43, იხ.: https://bit.ly/3V8xhZV [უკანასკნელად ნანახია 19.11.2022]; U.S. Department of State, Bureau of Democracy, Human Rights and Labor, Georgia 2021 Human Rights Report, page 35, იხ.: https://bit.ly/3geqEGN [ბოლო ნახვა 19.11.2022].

[42] განცხადება ,,მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონში შესატანი ცვლილებების შესახებ, იხ.: https://bit.ly/3unn8NJ [ბოლო ნახვა 05.12.2022].

[43] Eve Salomon and Sally Broughton Micova, Initial Expert Opinion Three Key Aspects of the amendments package to the Law of Georgia on Broadcasting, Strasbourg, 25 November 2022, გვ. 7-12.

[44] იხ. მეორე მოსმენაზე წარდგენილი კანონპროექტი და კენჭისყრის შედეგი: https://bit.ly/3uIgr9b და https://bit.ly/3h0aHnP [ბოლო ნახვა 05.12.2022].

[45] სოციალური სამართლიანობის ცენტრი, აქტივიზმი და შეკრების უფლებით სარგებლობა - ქართული პრაქტიკის ანალიზი, 2022, იხ.: https://bit.ly/3TV1N8r [ბოლო ნახვა 21.11.2022].

წინამდებარე ქვეთავში ზემოაღნიშული პრაქტიკის რამდენიმე თვალსაჩინო მაგალითია განხილული.

„მოძრაობა საქართველოსთვის“ გეგმავდა მთავრობის ადმინისტრაციის შენობასთან აქციის ჩატარებას 2022 წლის 22 თებერვალს, რის შესახებ წინასწარ გაავრცელეს ინფორმაცია.[46] შესაბამისად, სამართალდამცავი ორგანოებისათვის აღნიშნული ინფორმაცია ხელმისაწვდომი იყო. ამ შემთხვევაში საგანგაშოა, რომ სამართალდამცავებმა 8 აქტივისტი დააკავეს სანამ ისინი მივიდოდნენ აქციის გასამართ ადგილას და დაიწყებდნენ აქციას. ამასთანავე, დაკავებული პირები გადაანაწილეს რამდენიმე ქალაქში მიუხედავად იმისა, რომ დაკავების მასშტაბი არ იყო დიდი და თბილისის იზოლატორშიც იყო ადგილები. აღნიშნულმა ხელი შეუშალა დაკავებულთა დაცვის უფლების ეფექტიან რეალიზებას.[47]

2022 წლის 26 თებერვალს თელავის თეატრთან ზ.ხ. 10-12 ადამიანთან ერთად აპროტესტებდა რუსეთის შეჭრას უკრაინაში.[48] იგი კიდევ რამდენიმე პირთან ერთად პოლიციამ დააკავა წვრილმანი ხულიგნობისთვის (ქუჩაში გინება), რის გამოც მის მიმართ გამოიყენეს ადმინისტრაციული დაკავება 48 საათის განმავლობაში. სასამართლო დაეყრდნო მხოლოდ და მხოლოდ ერთი პოლიციელის განმარტებას, რომლის საფუძველზეც ცნო ზ.ხ. სამართალდამრღვევად. შესაბამისად, სასამართლომ, არასაკმარისი მტკიცებულებების მიუხედავად, სიტყვიერი შენიშვნა მისცა ზ.ხ.-ს.[49]

2022 წლის 7 მარტს სამოქალაქო მოძრაობა „სირცხვილიას“ ორგანიზებით რუსთაველზე, პარლამენტის შენობასთან, გაიმართა უკრაინის მხარდამჭერი აქცია.[50] აქციის მონაწილეები აპროტესტებდნენ უკრაინის მიმართ ხელისუფლების პოზიციას და ითოვდნენ რუსეთთან სავიზო რეჟიმის დაწესებას, რუსული მედიასაშუალებების აკრძალვას და რუსეთისათვის ცის დაკეტვას.[51] პარლამენტის შენობიდან აქციამ გადაინაცვლა მთავრობის ადმინისტრაციასთან, რომლის მიმართულებით აქტივისტებმა პროტესტის ნიშნად ტუალეტის ქაღალდები ისროლეს.[52] პოლიციამ ადმინისტრაციული წესით 16 აქტივისტი დააკავა, რომლებიც სასამართლომ ჯამში 34 400 ლარით დააჯარიმა, მათ შორის კი „სირცხვილიას“ 6 წევრს ჯამში 15 800 ლარის ჯარიმა დაეკისრა.[53] არასამთავრობო ორგანიზაციების შეფასებით, ამ შემთხვევაში დაირღვა დაკავებულთა უფლებები, კერძოდ: პოლიციამ აქტივისტები შესაბამისი მტკიცებულებებისა და საფუძვლების გარეშე თვითნებურად დააკავა; დაკავებულებს არ განუმარტეს უფლებები; დაკავების ოქმები შაბლონური და არაინფორმატიული იყო; პოლიციამ უკანონოდ და დაუსაბუთებლად გამოიყენა დაკავების მაქსიმალური ვადა; სასამართლომ უგულებელყო ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი სამართლიანი სასამართლოს მინიმალურ სტანდარტები და სასამართლოში გამოკვლეული მტკიცებულებები საკმარისი არ იყო აქტივისტებისათვის ადმინისტრაციული სახდელის შესაფარდებლად.[54] არასამთავრობო ორგანიზაციების შეფასებით, „სამართალდამცავებისა და სასამართლოს ამგვარი მანკიერი პრაქტიკის გაგრძელება მიუთითებს ხელისუფლების სურვილზე, რომ

[46] იქვე გვ. 15.
[47] იქვე.
[48] იქვე, გვ. 21.
[49] იქვე.
[50] „სირცხვილიას" ოთხი წევრი დააკავეს, იხ.: https://bit.ly/3TSK95h [ბოლო ნახვა 21.11.2022].
[51] იქვე.
[52] უკრაინის მიმართ სოლიდარობის აქციაზე დაკავებული აქტივისტები ჯამში 15 800 ლარით დააჯარიმეს, იხ.: https://bit.ly/3i32krX [ბოლო ნახვა 21.11.2022].
[53] ხელისუფლება განაგრძობს აქტივისტების წინააღმდეგ მართლმსაჯულების რეპრესიის მიზნებისთვის გამოყენებას, იხ.: https://bit.ly/3ERejSo [ბოლო ნახვა 21.11.2022].
[54] იქვე.

უკანონო დაკავებითა და სოლიდური ჯარიმების დაკისრებით შეზღუდოს გამოხატვისა და შეკრების თავისუფლება, სერიოზული ფინანსური დარტყმა მიაყენოს და პროტესტის მოტივაცია შეურყიოს აქტივისტებს".[55]

2022 წლის 6 მაისს, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წევრებმა ბათუმში, აჭარის მთავრობის სახლის წინ, გაშალეს კარვები, გამართეს სცენა და გადაკეტეს მემედ აბაშიძის გამზირის ნაწილი.[56] აქციის მონაწილეებმა მოითხოვეს მიხეილ სააკაშვილის სამკურნალოდ გადაყვანა უცხოეთში და მის მიმართ პოლიტიკური დევნისა და არაადამიანური მოპყრობის შეწყვეტა.[57] 7 მაისს, დაახლოებით 02:00 საათზე პოლიციამ დაიწყო კარვების აღება და დემონსტრანტების დაკავება ძალის გამოყენებით.[58] შსს-ს განცხადებით, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე და 166-ე მუხლების საფუძველზე დააკავეს 25 პირი.[59] მედიის მიერ გავრცელებული ვიდეო კადრებიდან[60] ჩანს, რომ 7 მაისს აქციის დაშლის მომენტისათვის რამდენიმე პოლიციელი არაპროპორციული ძალის გამოყენებით აკავებდა თითო აქტივისტს. ვიდეოკადრებში[61] ასევე ჩანს რამდენიმე შემთხვევა, როდესაც პოლიციელებმა ძალის გამოყენებით დააკავეს აქციის მონაწილეები მხოლოდ იმ მიზეზით, რომ დემონსტრანტებმა მათ კითხვა დაუსვეს, შეეპასუხნენ ან/და ხმამაღლა მიმართეს.[62] აღნიშნული არღვევს შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლებას და მიზნად ისახავს ხელისუფლების მიმართ კრიტიკის ცენზურას.

2022 წლის 1 სექტემბერს ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დააკმაყოფილა GDI-ს საჩივარი ირაკლი კაჭარავას საქმეზე.[63] გადაწყვეტილება ეხება 2019 წლის 18 ნოემბერს საქართველოს პარლამენტის მიმდებარედ გამართულ საპროტესტო აქციებზე მასობრივ დაკავებებს. სასამართლომ ირაკლი კაჭარავას მიმართ სახელმწიფოს მიერ კონვენციის მე-6 და მე-11 მუხლების დარღვევა დაადგინა და მომჩივნის სასარგებლოდ მთავრობას 1600 ევროს ოდენობით ზიანის ანაზღაურება დააკისრა. სასამართლომ ყველა იმ სისტემურ პრობლემაზე გაამახვილა ყურადღება, რაც წლებია საქართველოში ხელისუფლების მიერ კანონმდებლობისა თუ პრაქტიკის ფარგლებში მშვიდობიანი შეკრებისა და მანიფესტაციის წინააღმდეგ, მის ჩასახშობად გამოიყენება.

სასამართლომ მიუთითა, რომ ირაკლი კაჭარავას მიმართ ბრალდებები ეყრდნობოდა მხოლოდ პოლიციელების ჩვენებას და არ იყო გამყარებული სხვა მტკიცებულებებით. მსგავსი ვითარება მომჩივანს აყენებდა ისეთ მდგომარეობაში, რომ პოლიციელთა ბრალდებების ფარგლებში, თავად დაემტკიცებინა საკუთარი უდანაშაულობა. ვინაიდან ეროვნული სასამართლოების გადაწყვეტილებებში არ იკვეთებოდა მომჩივნის ბრალეულობის დამადასტურებელი სხვა მტკიცებულებების არსებობა, გარდა პოლიციის

---

[55] იქვე.

[56] ბათუმში სააკაშვილის სამკურნალოდ გადაყვანის მოთხოვნით მიმდინარე აქციაზე კარვები გაშალეს, იხ.: https://bit.ly/3tLwySH [ბოლო ნახვა 21.11.2022].

[57] იქვე.

[58] აჭარის მთავრობის სახლთან გაშლილი კარვები პოლიციამ აქციის მონაწილეების პროტესტის მიუხედავად აიღო, იხ.: https://bit.ly/3Au3xi8 [ბოლო ნახვა 21.11.2022].

[59] შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადება, იხ.: https://bit.ly/3XfnOlv [ბოლო ნახვა 21.11.2022].

[60] ბათუმში, ოპოზიციის აქციაზე დაკავებული პირების ადგილსამყოფელი უცნობია, იხ.: https://bit.ly/3GucxHX [ბოლო ნახვა 21.11.2022].

[61] ბათუმში, აჭარის მთავრობის სახლთან, მიხეილ სააკაშვილის მხარდამჭერ აქციაზე პოლიციამ რამდენიმე მოქალაქე დააკავა, იხ.: https://bit.ly/3VfFVFX [ბოლო ნახვა 21.11.2022].

[62] აჭარის მთავრობის სახლთან გაშლილი კარვები პოლიციამ აქციის მონაწილეების პროტესტის მიუხედავად აიღო, იხ.: https://bit.ly/3Oo5Fxz [ბოლო ნახვა 21.11.2022]; ბათუმში სააკაშვილის მხარდასაჭერ აქციაზე გიორგი კირთაძე დააკავეს, იხ.: https://bit.ly/3AwUlcO [ბოლო ნახვა 21.11.2022].

[63] Case of Makarashvili And Others v. Georgia (Applications Nos. 23158/20, 31365/20, 32525/20)

ოფიცრების ჩვენებისა, მიუთითებს, რომ კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტი დარღვეულია.

სასამართლომ ასევე განმარტა, რომ სახელმწიფომ ვერ წარმოაჩინა საკმარისი და რელევანტური საფუძვლები ირაკლი გაჭარავას დაკავებისა და მისთვის 4-დღიანი პატიმრობის დაკისრების აუცილებლობასა და პროპორციულობასთან დაკავშირებით, შედეგად კი მომჩივნის მიმართ მე-11 მუხლის დარღვევა დაადგინა.

ზემოთ აღწერილი შემთხვევები ცხადყოფს, რომ ხელისუფლება სამართალდამცავი ორგანოების, სასამართლო სისტემისა და არსებითად ხარვეზიანი, მოძველებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის გამოყენებით კვლავ ცდილობს, რომ ჩაახშოს პროტესტი და ხელი შეუშალოს კრიტიკული პოზიციების გამოხატვას.

2.2. 2021 წლის 5 ივლისს განვითარებული მოვლენების გამოძიება

შეკრების თავისუფლებიდან მომდინარე ვალდებულებები მოიცავს არა მხოლოდ მშვიდობიანი შეკრების თავისუფლად გამართვის უზრუნველყოფას და მისი მონაწილეების დაცვას, არამედ შეკრების უფლების დარღვევის ეფექტიანი გამოძიების განხორციელებას და პასუხისმგებელი პირების დასჯასაც.[64] ამ ვალდებულების საწინააღმდეგოდ, 2021 წლის 5 ივლისს განვითარებული ძალადობრივი მოვლენების გამოძიება და ამ მოვლენებთან დაკავშირებით სამართალწარმოება სათანადოდ არ მიმდინარეობს. აღნიშნულს ადასტურებს, უპირველესყოვლისა ის ფაქტი, რომ 5 ივლისს მომხდარი ძალადობის/ძალადობრივი შეკრების არცერთი ორგანიზატორის მიმართ არ დაწყებულა სისხლისსამართლებრივი დევნა მიუხედავად საკმარისი მტკიცებულებების არსებობისა.[65] საყურადღებოა საქართველოს სახალხო დამცველის პოზიცია, რომლის მიხედვით, "2021 წლის 5 ივლისს განვითარებული მოვლენების ამსახველი და საჯაროდ ხელმისაწვდომი მტკიცებულებები აღწევდა ბრალის წარდგენის სტანდარტს"[66] და საკმარისი იყო ჯგუფური ძალადობის ორგანიზებისა და ასევე, ძალადობრივი ქმედებებისკენ საჯარო მოწოდების ფაქტებზე სისხლისსამართლებრივი დევნის დასაწყებად.[67] იგივე პოზიცია გააჟღერა მან 2022 წლის 6 დეკემბერს გამოქვეყნებულ ანგარიშშიც.[68] მიუხედავად ამისა, პროკურატურამ დევნის დაწყების შესახებ სახალხო დამცველის წინადადება არ გაიზიარა.[69] 2021 წლის 5 ივლისთან დაკავშირებული გამოძიების არაეფექტიანობას მიუთითებს ისიც, რომ პროკურატურამ და შემდგომ სასამართლომ დაზარალებულის სტატუსი არ მიანიჭა „თბილისი პრაიდის" წევრებსა და ლგბტქი+ აქტივისტებს მიუხედავად იმისა, რომ 5 ივლისს ისინი იდევნებოდნენ სექსუალური ორიენტაციის ნიშნით და საფრთხე ემუქრებოდა მათ სიცოცხლესა და ჯანმრთელობას.[70] პრობლემურია 5 ივლისის საქმეებზე სასამართლოს მიერ მიღებული განაჩენებიც. კერძოდ, 2022 წლის 4 აპრილს თბილისის საქალაქო სასამართლომ მიიღო განაჩენი 2021 წლის 5 ივლისს ჟურნალისტებზე განხორციელებულ ძალადობასთან

---

[64] Judgment of the European Court of Human Rights in the Case of Ouranio Toxo and others v. GREECE, Application no. 74989/01), §§ 37; UN Human Rights Committee, General comment No. 37 (2020) on the right of peaceful assembly (article 21), § 90, იხ.: https://bit.ly/3hUuu8d [ბოლო ნახვა 21.11.2022].

[65] სოციალური სამართლიანობის ცენტრი, აქტივიზმი და შეკრების უფლებით სარგებლობა - ქართული პრაქტიკის ანალიზი, 2022, გვ. 22.

[66] საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ 2021 წელი, გვ. 184, იხ.: https://bit.ly/3EkRbtQ [ბოლო ნახვა 21.11.2022].

[67] იქვე.

[68] შემოწმების შედეგები 5 ივლისის საქმესთან დაკავშირებით, საქართველოს სახალხო დამცველი bit.ly/3W0gYia

[69] იქვე, გვ. 185.

[70] სოციალური სამართლიანობის ცენტრი, აქტივიზმი და შეკრების უფლებით სარგებლობა - ქართული პრაქტიკის ანალიზი, 2022, გვ. 23.

დაკავშირებით.[71] ამ საქმეში ბრალდებულები სასამართლომ დამნაშავედ ცნო სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლის 1[1] ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, 156-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებით და 154-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენაში და, შესაბამისად, მოუხსნა ორგანიზებულ ჯგუფურ დანაშაულში მონაწილეობის ბრალდება და აღნიშნული გადააკვალიფიცირა ჯგუფურ ძალადობად.[72] სასამართლომ მათ შეუფარდა თავისუფლების აღკვეთა 1 წლითა და 3 თვით.[73] არასამთავრობო ორგანიზაციების შეფასებით, გამოყენებული სასჯელი არ იყო საკმარისად მკაცრი და დანაშაულის სიმძიმეს არ შეესაბამებოდა.[74] ამასთანავე, ჯგუფურ ძალადობაში მონაწილეობის გადაკვალიფიცირება გამორიცხავდა 2022 წლის 5 ივლისს ჟურნალისტებსა და სამოქალაქო აქტივისტებზე მასშტაბური, ჰომოფობიური ძალადობის ორგანიზატორებისთვის პასუხისმგებლობის დაკისრებას და წარმოადგენდა საშიშ გზავნილს, რომ სახელმწიფოს მიერ შეწყნარებულია დანაშაულის ორგანიზება და მასში მონაწილეობა.[75] ანალოგიურად, სასამართლოს მიერ "თბილისი პრაიდის" ოფისზე თავდამსხმელებისათვის 5000 ლარიანი ჯარიმის შეფარდება, GDI-ის შეფასებით, იყო ხელისუფლების ერთიანი პოლიტიკის ნაწილი - უარი თქვას სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების წინააღმდეგ სათანადოდ ბრძოლასა და მოძალადეების დასჯაზე.[76] ხოლო სახალხო დამცველის შეფასებით, „სასამართლომდე მისულ საქმეებზე მიღებული გადაწყვეტილებები არათანმიმდევრული და კონკრეტულ შემთხვევებში - დაუსაბუთებელია.“[77]

3. პირადი ცხოვრების, პირადი სივრცისა და კომუნიკაციის ხელშეუხებლობის უფლებები

3.1. სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის გაუარესება

2022 წლის აპრილში საპარლამენტო უმრავლესობამ დააინიცირა კანონპროექტი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებების შესატანად.[78] კანონპროექტი ითვალისწინებდა შემდეგ ცვლილებებს: ფარული საგამოძიებო მოქმედებების გავრცელება დამატებით 27 დანაშაულზე; ფარული საგამოძიებო მოქმედებების ვადის გაზრდა 9 თვემდე; ფარული საგამოძიებო მოქმედებების უვადოდ განხორციელებისა და ფარული საგამოძიებო მოქმედებების სუბიექტის შეუტყობინებლობის შესაძლებლობა 100 დანაშაულის შემთხვევაში.[79]

არასამთავრობო ორგანიზაციებმა კანონო მკაცრად გააკრიტიკეს. მათი პოზიციით, ინიცირებული ცვლილებებით მკაფიოდ უარესდებოდა ფარული საგამოძიებო მოქმედებების დროს ადამიანის უფლებათა დაცვის სტანდარტი და აზრი ეკარგებოდა 2014 წელს განხორციელებულ საკანონმდებლო რეფორმას, რომელიც დადებითად შეფასდა და ეფუძნებოდა ევროსაბჭოს ადამიანის უფლებების და კანონის უზენაესობის გენერალური

[71] GDI და HRC პროკურატურას განაჩენის გასაჩივრებისკენ მოუწოდებენ, იხ.: https://bit.ly/3i335Bj [ბოლო ნახვა 21.11.2022]; თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლე ნინო ჩახნაშვილის 2022 წლის 4 აპრილის განაჩენი საქმეზე N1/4458-21.
[72] იქვე.
[73] იქვე.
[74] GDI და HRC პროკურატურას განაჩენის გასაჩივრებისკენ მოუწოდებენ, იხ.: https://bit.ly/3i335Bj [ბოლო ნახვა 21.11.2022].
[75] იქვე.
[76] სასამართლომ "თბილისი პრაიდის" ოფისზე თავდამსხმელებს 5000 ლარიანი ჯარიმა შეუფარდა, იხ.: https://bit.ly/3XepM5z [ბოლო ნახვა 21.11.2022].
[77] შემოწმების შედეგები 5 ივლისის საქმესთან დაკავშირებით, საქართველოს სახალხო დამცველი bit.ly/3W0gYia
[78] იხ. კანონპროექტი: https://info.parliament.ge/#law-drafting/24008 [ბოლო ნახვა 21.11.2022].
[79] ფარული მიყურადების მარეგულირებელი კანონმდებლობა კიდევ უფრო უარესდება, იხ.: https://bit.ly/3UWfh5b [ბოლო ნახვა 21.11.2022].

დირექტორატის რეკომენდაციებს.[80] არასამთავრობო ორგანიზაციების განცხადებით, კანონპროექტის განმარტებით ბარათში არ იყო დასაბუთებული ცვლილებების შემუშავებისა და მიღების საჭიროება, ხოლო კანონპროექტი მომზადდა სამუშაო ჯგუფებთან, ექსპერტებთან, სამოქალაქო ან საერთაშორისო ორგანიზაციებთან კონსულტაციის გარეშე.[81] მსგავსი კრიტიკა არის მოცემული ვენეციის კომისიის მოსაზრებაშიც. ვენეციის კომისიის თანახმად, კანონპროექტის განმარტებით ბარათში არ არის ახსნილი ცვლილებების საჭიროება და არ არის გაანალიზებული ფარული საგამოძიებო მოქმედებების (იმდროინდელი) საკანონმდებლო ჩარჩოს ეფექტიანობა და ხარვეზები.[82] ვენეციის კომისიის მოსაზრებაში უარყოფითად არის შეფასებული კანონპროექტის შემუშავების პროცესში საზოგადოების ჩართულობის ნაკლებობა.[83] ვენეციის კომისიამ გააკრიტიკა შესაბამისი განმარტების გარეშე ფარული საგამოძიებო მოქმედებების დამატებით გავრცელება ზოგიერთ დანაშაულზე და ფარული საგამოძიებო მოქმედებების ვადის გახანგრძლივება, ასევე ხსენებული მოქმედებების სუბიექტის შეუტყობინებლობა კონტროლის ეფექტიანი მექანიზმების არარსებობის ფონზე.[84]

აღსანიშნავია, რომ საქართველოს პრეზიდენტმა კანონპროექტს ვეტო დაადო.[85] საქართველოს პარლამენტმა ვეტო დაძლია და კანონპროექტი თავდაპირველი რედაქციით მიიღო,[86] მიუხედავად საერთაშორისო და ეროვნულ დონეზე გამოთქმული კრიტიკისა. კანონპროექტის მიღების შემდეგ, გავრცელდა ევროკავშირის (იმდროინდელი) ელჩ კარლ ჰერცელის კომენტარიც, რომლის მიხედვით, „მიმდინარე ცვლილებები მნიშვნელოვნად ზღუდავს საქართველოს მოქალაქეების პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას, მათ პირად ცხოვრებაში გაუმართლებელი შეჭრისა და პერსონალური მონაცემების დაცვის საკმარისი გარანტიების გარეშე“.[87]

საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული ცვლილებები განსაკუთრებით საგანგაშოა იმის ფონზე, რომ 2021 წლის 13 სექტემბერს, სხვადასხვა მედია საშუალების მეშვეობით, გავრცელდა ინფორმაცია, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ სასულიერო პირების, პოლიტიკოსების, ადვოკატების, ჟურნალისტების, დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლების, აქტივისტებისა და სხვა პირების სავარაუდო მასშტაბური მიყურადების შესახებ.[88] შესაბამისად, პირადი ცხოვრების უფლებაში ჩარევა მწვავე პრობლემად რჩება ქვეყანაში.

3.2. გამოძიების მიმდინარეობა ე.წ. „მოსმენების საქმეებზე“

როგორც უკვე აღინიშნა, 2021 წლის სექტემბერში გავრცელდა ინფორმაცია სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ სავარაუდო უკანონო და მასშტაბური ფარული მოსმენა-მიყურადების შესახებ. მიყურადებული კომუნიკაციის ავთენტურობა არაერთმა პირმა

---

[80] იქვე.
[81] იქვე.
[82] Venice Commission, Urgent Opinion on the Draft Law on the Amendment to the Criminal Procedure Code adopted by the Parliament of Georgia on 7 June 2022, Strasbourg, 25 October 2022, Opinion no. 1092/2022, §§ 34, 36, იხ.: https://bit.ly/3TTj1TN [ბოლო ნახვა 21.11.2022].
[83] იქვე, § 39.
[84] იქვე, §§ 45, 50, 54.
[85] პარლამენტმა პრეზიდენტის ვეტო დაძლია და მოსმენების კანონი დაამტკიცა, იხ.: https://bit.ly/3t7LlGZ [ბოლო ნახვა 21.11.2022].
[86] იქვე.
[87] ევროკავშირის ელჩის კარლ ჰარცელის კომენტარი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებების შეტანასთან დაკავშირებით, იხ.: https://bit.ly/3UVRt1c [ბოლო ნახვა 21.11.2022].
[88] საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა, ადამიანის უფლებები საქართველოში 2021, გვ. 18, იხ.: https://bit.ly/3Gv3re5 [ბოლო ნახვა 21.11.2022].

დაადასტურა.[89] პროკურატურამ გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 158-ე მუხლის 1-ლი, მე-2 და მე-4 ("ა" ქვეპუნქტი) ნაწილებით დაიწყო.[90] გამოძიების არაეფექტიანობის მხრივ, აღსანიშნავია, რომ თავდაპირველად სავარაუდო უკანონო ფარული მოსმენა-მიყურადების/თვალთვალის ადრესატებს არც პროკურატურამ და არც სასამართლომ არ მიანიჭა დაზარალებულის სტატუსი, მიუხედავად მათი მიმართვებისა. ასევე, თავდაპირველად ფარული მოსმენა-მიყურადების მსხვერპლები პროკურატურას არ გამოუკითხავს და უცნობი იყო ინფორმაცია გამოძიების მიმდინარეობის, აუცილებელი საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის პასუხისმგებელ თანამდებობის პირთა გამოკითხვის, შესაბამისი ექსპერტიზებისა და სხვა, დამნაშავეთა გამოვლენისა და დასჯისთვის საჭირო მოქმედებების ჩატარების თაობაზე.[91] აღსანიშნავია საქართველოს სახალხო დამცველის განცხადებაც, რომლის მიხედვით, „უკანონო მოსმენებისა და მიყურადების არაერთი შემთხვევა ყოფილა, თუმცა ეფექტური გამოძიება და სისტემური დანაშაულის გამო დასჯილი პირები არ ახსოვს".[92] საყურადღებოა, რომ ფარული მოსმენა-მიყურადების მსხვერპლებს დაზარალებულის სტატუსი მხოლოდ მას შემდეგ მიენიჭათ, რაც მათ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს მიმართეს.[93] მიუხედავად ამისა, გამოძიების მიმდინარეობაში მაინც იკვეთება არაერთი ხარვეზი. კერძოდ, „სოციალური სამართლიანობის ცენტრის" შეფასებით, საქმის მასალებიდან, მაგალითად, ჩანს, რომ: გამოძიების ფარგლებში არ იყვნენ გამოკითხულნი სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მაღალჩინოსნები, დანარჩენი თანამშრომლების გამოკითხვა კი ხარვეზიანი და ფორმალური იყო; მთელი რიგი საგამოძიებო მოქმედებები დაგვიანებით ჩატარდა და ა.შ.[94]

აღსანიშნავია, რომ ე.წ. „მოსმენების საქმეზე" GDI იცავს 40-ზე მეტი მომჩივანის/ჟურნალისტის ინტერესებს ევროსასამართლოს წინაშე. შესაბამისად, GDI მათ წარმოადგენს ეროვნულ დონეზე მიმდინარე სისხლის სამართლის წარმოებაშიც, რომელთა მსვლელობისას არაეფექტიანობის არაერთი ინდიკატორი დააფიქსირა, მათ შორის, საზოგადოების არაინფორმირებულობა გამოძიების შესახებ, სახალხო დამცველისათვის უარის თქმა მასალებზე წვდომაზე, დაზარალებულებისა და მათი წარმომადგენლების არასრული, არასათანადო წვდომა საქმის მასალებზე და ა.შ.

4. თანასწორობა

4.1. ლგბტქი+ თემის უფლებრივი მდგომარეობა

4.1.1. 2022 წლის პრაიდის კვირეული

2022 წლის 28 ივნისიდან 2 ივლისამდე პერიოდში „თბილისი პრაიდის" ორგანიზებით გაიმართა პრაიდის კვირეული, რომლის ფარგლებშიც ჩატარდა ქართული ქვიარ ფილმის ჩვენება, რეგიონული კონფერენცია და პრაიდ კვირეული. ღონისძიებების დაწყებამდე

[89] პროკურატურის გამოძიება ე.წ. მოსმენების საქმეზე ეფექტიანად არ მიმდინარეობს, იხ.: https://bit.ly/3VcamwP [ბოლო ნახვა 21.11.2022].
[90] იქვე.
[91] იქვე
[92] არცერთ მსგავს შემთხვევაზე არ გვინახავს ეფექტური გამოძიება და დასჯილი პირები — ლომჯარია მოსმენებზე, იხ.: https://bit.ly/3hmkuUR [ბოლო ნახვა 21.11.2022].
[93] ომბუდსმენი ევროსასამართლოს სთხოვს, "მოსმენების საქმე" პრიორიტეტულად განიხილოს, იხ.: https://bit.ly/3gXs5tt [ბოლო ნახვა 05.12.2022]; "სუსის ფაილების" საქმეზე რადიო თავისუფლების ჟურნალისტები დაზარალებულად ცნეს, იხ.: https://bit.ly/3P8DrHB [ბოლო ნახვა 05.12.2022].
[94] საქმის მასალების გაცნობის შემდეგ, სუს-ის კრებსებზე მიმდინარე გამოძიებას ვაფასებთ, იხ.: https://bit.ly/3VU6Kj8 [ბოლო ნახვა 12.05.2022].

„თბილისი პრაიდის“ წარმომადგენლები აქტიურ კოორდინაციაში იყვნენ და მართავდნენ შეხვედრებს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან, აწვდიდნენ ინფორმაციას კვირეულის გეგმების შესახებ.[95] შინაგან საქმეთა სამინისტრომ კვირეულის დაწყებამდე განაცხადა, რომ მიიღებდა ყველა შესაბამის ზომას კვირეულის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად და გამოხატვისა და შეკრების დასაცავად, ხოლო პრაიდის მოწინააღმდეგე ჯგუფებს მოუწოდა კანონის დაცვისაკენ.[96]

მართლაც, 2021 წელთან შედარებით, წელს პრაიდის კვირეული უფრო უსაფრთხო გარემოში და ნაკლები დაბრკოლებების გარეშე გაიმართა. საქართველოში საერთაშორისო საზოგადოების წარმომადგენლებმა წლევანდელი კვირეული შეაფასეს, როგორც წინ გადადგმული ნაბიჯი ლგბტქი+ თემის უფლებების დაცვის თვალსაზრისით.[97] პროგრესის მიუხედავად, 2022 წლის პრაიდის კვირეულის შედარებითი წარმატება არ ასახავს ლგბტქი+ თემის უსაფრთხოებისა და უფლებრივი მდგომარეობის სრულყოფილ სურათს და მეტწილად უკავშირდება ზემოაღნიშნული ღონისძიებების დახურულ სივრცეში გამართვას. კერძოდ, „თბილისი პრაიდმა“ შეგნებულად აირჩია დახურული ფორმატი საჯარო სივრცის მაგივრად, კონკრეტულად კი მიუთითა 2021 წლის მძიმე გამოცდილებასა და ხელისუფლების არასათანადო რეაქციაზე, განაცხადა, რომ „წელს ჩვენ არ გაგვაჩნია არავითარი სივრცე და შესაძლებლობა ღირსების მარშის ჩასატარებლად. ვრჩებით ერთადერთ ჯგუფად, რომელსაც ფაქტობრივად ჩამორთმეული აქვს შეკრებისა და მანიფესტაციის უფლება“.[98] „თბილისი პრაიდის“ პოზიციიდან იკითხება, რომ თემის წევრებს არ აქვთ ხელისუფლების მხრიდან საჯარო სივრცეში მათი შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლების სათანადოდ დაცვის მოლოდინი. შესაბამისად, ამ ფუნდამენტური უფლებებით სრულყოფილად სარგებლობა კვლავ მიუღწეველ მიზანს წარმოადგენს. გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ პრაიდის კვირეულს დახურული ფორმატის პირობებშიც კი არ ჩაუვლია წინააღმდეგობის და რისკების გარეშე. კერძოდ, „ალტ-ინფოს“ წარმომადგენელმა, კოკა მორგოშიამ პრაიდის ფესტივალის შესახებ განაცხადა, რომ „თავისთავად ცხადია, ქართველი ხალხი და მათ შორის ჩვენ, როგორც ქართველი ხალხის ნაწილი და ამ ხალხის უდიდესი ნაწილის გამომხატველი პოლიტიკური ძალა ჩვენ ამას არ დავუშვებთ“.[99] მართლაც, „ალტ ინფოს“ წარმომადგენლები და პრაიდის სხვა მოწინააღმდეგეები ფესტივალის ჩასაშლელად მივიდნენ მთაწმინდაზე იმ ტერიტორიის გზაზე, სადაც ფესტივალი უნდა გამართულიყო.[100] შსს-ს განცხადებით, „მიმდინარე წლის 1 ივლისს თბილისი პრაიდის მოწინააღმდეგეები შეიკრიბნენ და მოახდინეს ფესტივალის ადგილზე მისასვლელი გზების პარალიზება, მოძრაობის ხელოვნური შეფერხება“[101]. ისინი არ დაემორჩილნენ პოლიციის მითითებას გზის გათავისუფლების შესახებ და ამიტომ პოლიციამ 26 პირი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე და 166-ე მუხლების საფუძველზე დააკავა.[102] ბოლოს, „ალტ ინფოს“ ზემოხსენებული განცხადების გარდა, საყურადღებოა ჰომოფობიის წამახალისებელი რიტორიკა მთავრობის ლიდერის, პრემიერ ირაკლი ღარიბაშვილის მხრიდან. კერძოდ, 2021 წლის 5 ივლისის ძალადობრივი

---

[95] თბილისი პრაიდის კვირეული ბრუნდება, იხ.: https://bit.ly/3V9vG5U [ბოლო ნახვა 21.11.2021]; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადება, იხ.: https://bit.ly/3EgWM4p [ბოლო ნახვა 21.11.2021].

[96] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადება, იხ.: https://bit.ly/3EgWM4p [ბოლო ნახვა 21.11.2021].

[97] პრაიდ კვირეული წინ გადადგმული ნაბიჯია, რომელსაც საქართველოში ადამიანის უფლებათა დაცვის შემდგომი გაძლიერება უნდა მოჰყვეს, იხ.: https://bit.ly/3V3H7MA [ბოლო ნახვა 21.11.2021].

[98] თბილისი პრაიდის კვირეული ბრუნდება, იხ.: https://bit.ly/3V9vG5U [ბოლო ნახვა 21.11.2021].

[99] "ჩვენ ამას არ დავუშვებთ" - მორგოშია თბილისი პრაიდის დაანონონსებულ ფესტივალს ემუქრება, იხ:. https://bit.ly/3EdXX4y [ბოლო ნახვა 21.11.2021].

[100] პრორუსული ალტ-ინფოს ლიდერები, ზურა მახარაძე და ირაკლი მარტინენკო, სავარაუდოდ დააკავეს, იხ.: https://formulanews.ge/News/73608 [ბოლო ნახვა 21.11.2021].

[101] შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადება, იხ.: https://bit.ly/3giuCxO [ბოლო ნახვა 21.11.2021].

[102] იქვე.

მოვლენებისათვის სიძულვილის ჯგუფის ორგანიზატორებსა და მონაწილეებზე პასუხისმგებლობის დაკისრების ნაცვლად, ირაკლი ღარიბაშვილმა 2022 წლის 22 ივნისს შემდეგი განცხადება გააკეთა: „ვინ იყო ამისი ორგანიზატორი, კარგად ვიცით – "ელგებეტე" ორგანიზაციის დირექტორი და სირცხვილია, ეს ერთი ორგანიზმია. ამათ უკან დგას სააკაშვილი და ნაცმოძრაობა. მათი ორგანიზებული, წახალისებული იყო, ვითომ ეს ღირსების მარში თუ რაღაც რომ უნდა ჩაეტარებინათ, პირდაპირ პროვოკაცია, პირდაპირ ანტიეროვნული, ანტისახელმწიფოებრივი პროვოკაცია“.[103] აღნიშნული განცხადება ეწინააღმდეგება ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის მოწოდებას ხელისუფლებისადმი, რომ სიძულვილის დანაშაულებთან საბრძოლველად და შეკრების თავისუფლების დასაცავად წარმოაჩინოს მტკიცე პოლიტიკური ნება ლგბტქი+ თემის მიმართ დისკრიმინაციის, სიძულვილის ენისა და ძალადობის წინააღმდეგ ნულოვანი ტოლერანტობის გამოხატვით უმაღლეს დონეზე.[104]

4.2.2. ადამიანის უფლებათა ეროვნული სტრატეგია 2022-2030

2022 წლის 5 სექტემბერს საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა ადამიანის უფლებათა დაცვის სტრატეგია 2022-2030 წლებისთვის.[105] სტრატეგიის მესამე პრიორიტეტი არის „თანასწორობის კონსტიტუციური გარანტიების ასახვა სახელმწიფო პოლიტიკაში და მათი დანერგვა პრაქტიკაში და ადამიანის უფლებებით და თავისუფლებებით სარგებლობა დისკრიმინაციის გარეშე“.[106] ამ პრიორიტეტის ფარგლებში ცალკე ქვეთავები ეძღვნება სხვადასხვა მოწყვლადი ჯგუფის უფლებებს, მაგრამ ამ ჯგუფებს შორის არ არის ლგბტქი+ თემი. ამასთანავე, ლგბტქი+ თემი არათუ არ არის ცალკე გამოყოფილი ზემოაღნიშნული პრიორიტეტის ფარგლებში, არამედ საერთოდ არ არის ნახსენები სტრატეგიაში.[107] სტრატეგიაში ლგბტქი+ თემის უგულებელყოფა გააკრიტიკეს არასამთავრობო (სათემო) ორგანიზაციებმა.[108] მათ ასევე უარყოფითად შეაფასეს სტრატეგიაზე მუშაობის ფორმატი. კერძოდ, „თანასწორობის მოძრაობის“ წარმომადგენლის თქმით, მთავრობის ადმინისტრაციის ცვლილების შემდეგ გაწყდა კომუნიკაცია და ორგანიზაცია აღარ მიუწვევიათ სამუშაო პროცესში მონაწილეობის მისაღებად, მათ არც მიუღიათ სტრატეგიის სამუშაო ვერსია მთავრობის ადმინისტრაციისგან და არ ყოფილან მიწვეულნი დოკუმენტის წარდგენაზე.[109] ანალოგიურად, არც „ქალთა ინიციატივების მხარდამჭერ ჯგუფს“ მიუღია სტრატეგია უშუალოდ მთავრობისგან და იგი საკუთარი ძალისხმევით, პარტნიორი ორგანიზაციისგან მოიპოვეს, ხოლო თანამშრომლობა მხოლოდ დოკუმენტზე კომენტარების დართვით შემოიფარგლა.[110]

აღსანიშნავია, რომ GDI-ს ასევე ჰქონდა სურვილი აქტიურად ყოფილიყო ჩართული სტრატეგიის შემუშავების პროცესში და ჯერ კიდევ ორი წლის წინ, როდესაც სტრატეგიის

---

[103] ღარიბაშვილმა 5 ივლისს ძალადობა წაახალისა, პროვოცირებაში კი დღესაც აქტივისტებს ადანაშაულებს, იხ.: https://bit.ly/3EFV3a6 [ბოლო ნახვა 21.11.2021]; 5 ივლისის ძალადობაზე საუბრისას ღარიბაშვილი თბილისი პრაიდსა და სირცხვილიას "პროვოკაციას" აბრალებს, იხ.: https://bit.ly/3XeTDLe [ბოლო ნახვა 21.11.2021].

[104] ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის გადაწყვეტილება CM/Del/Dec(2021)1419/H46-14, 1419th meeting (DH), 30 November- 2 December 2021 - H46-14 Identoba and Others group v. Georgia (Application No. 73235/12), იხ.: https://bit.ly/3V3G9Ax [ბოლო ნახვა 21.11.2021].

[105] მთავრობამ ადამიანის უფლებათა დაცვის რიგით მე-2 ეროვნული სტრატეგია დაამტკიცა, იხ.: https://bit.ly/3tGcYap [ბოლო ნახვა 21.11.2021].

[106] საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგია 2022-2030 წლებისთვის, იხ.: https://bit.ly/3hNX1fH [ბოლო ნახვა 21.11.2021].

[107] რატომ არ არის ნახსენები ლგბტქი+ ადამიანები ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნულ სტრატეგიაში, იხ.: https://bit.ly/3TSSZzP [ბოლო ნახვა 21.11.2021].

[108] იქვე.

[109] იქვე.

[110] იქვე.

პირველადი პროექტი მუშავდებოდა, GDI-მ არაერთხელ გამოთქვა შენიშვნა და რეკომენდაცია სტრატეგიაში ლგბტქი+ თემის საჭიროებების ასახვასთან დაკავშირებით. რაც შეეხება 2022 წელს მიმდინარე პროცესს, მართალია GDI-მ დაგვიანებით მიიღო სტრატეგიის დოკუმენტი, მაგრამ მაინც მიმართა მთავრობას იმავე შენიშვნებითა და რეკომენდაციებით, სამწუხაროდ მთავრობამ სამოქალაქო სექტორის და საერთაშორისო პარტნიროების არაერთი მცდელობის მიუხედავად, არ გაითვალისწინა მათი მოსაზრებები.

სტრატეგიის შემუშავების ასეთი მიდგომა და თავად სტრატეგიაში ლგბტქი+ თემის (საჭიროებების) უგულებელყოფა მიუთითებს ხელისუფლების დამოკიდებულებას, რომ არ სურს პოლიტიკის დონეზე აღიაროს ლგბტქი+ თემის თანასწორუფლებიანობა და იზრუნოს თემის წინაშე არსებული გამოწვევების გადაჭრაზე.

5. სამართლიანი სასამართლოს უფლება და მართლმსაჯულება

5.1. ცვლილებები „საერთო სასამარლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში

2021 წლის 30 დეკემბერს, საქართველოს პარლამენტმა, წინასაახალწლო პერიოდში, რიგგარეშე სესიაზე, საზოგადოებრივი ჩართულობისა და კონსულტაციების გამართვის გარეშე, დაჩქარებული წესით მიიღო „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში შესატანი საკანონმდებლო ცვლილებები.[111] კანონპროექტი ახლებურად აწესრიგებდა ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორიც არის:

1. მოსამართლის სხვა სასამართლოში მივლინება;
2. დისციპლინური სამართალწარმოების შედეგად იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მისაღებად აუცილებელი კვორუმის შემცირება;
3. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრების თანამდებობაზე ზედიზედ ორჯერ ერთი და იმავე პირის არჩევის აკრძალვის გაუქმება;
4. მოსამართლის საქმეთა განხილვისაგან ჩამოცილების შესახებ გადაწყვეტილების მიღების ახლებური მოწესრიგება.

საკანონმდებლო უმრავლესობის მიერ წარმოდგენილი ცვლილებების პაკეტი კრიტიკულად შეაფასეს სამოქალაქო ორგანიზაციებმა[112] და საერთაშორისო აქტორებმა[113], აგრეთვე თავად მოსამართლეთა ნაწილმა[114]. ყველა მათგანი საუბრობდა იმ საფრთხეებზე, რომელსაც უქმნიდა მიღებული კანონპროექტი ინდივიდუალური მოსამართლეების დამოუკიდებლობას და პირიქით - აძლიერებდა სისტემის შიგნით კლანურ მმართველობას. ცვლილებებმა ცალსახად შეასუსტა ინდივიდუალური მოსამართლეების გარანტიები და ისინი იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ძალაუფლების მიმართ უფრო მეტად მოწყვლადი გახადა.

2022 წლის 13 იანვარს, სამოქალაქო საზოგადოების ნაწილმა მოუწოდა[115] საქართველოს პრეზიდენტს, გამოეყენებინა კონსტიტუციით მინიჭებული უფლებამოსილება, ვეტო დაედო შემოთავაზებული ცვლილებებისთვის და მოტივირებული შენიშვნებით

---

[111] იხ. პარლამენტის მიერ მესამე მოსმენით მიღებული კანონის პროექტი - https://bit.ly/3GA1woD [ბოლო ნახვა 22.11.2022].

[112] კოალიცია „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანულ კანონში ცვლილებების დაჩქარებული წესით განხილვას ეხმაურება, იხ.: https://bit.ly/3UTLKck [ბოლო ნახვა 22.11.2022].

[113] Venice Commission, Opinion on the December 2021 Amendments to the Organic Law on Common Courts, Strasbourg, 20 June 2022, Opinion No. 1077 / 2022, იხ.: https://bit.ly/3Ve21c2 [ბოლო ნახვა 22.11.2022].

[114] მოსამართლეთა ნაწილი საქართველოს პარლამენტს ღია წერილით მიმართავს და „საერთო სასამართლოების შესახებ“ კანონში ინიცირებული ცვლილებების შესახებ განმარტებებს ითხოვს, იხ.: https://bit.ly/3V18LtZ [ბოლო ნახვა 22.11.2022].

[115] პრეზიდენტისადმი მოწოდება „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანულ კანონში მიღებულ საკანონმდებლო ცვლილებაზე ვეტოს დადების თაობაზე, იხ.: https://bit.ly/3EsnAi9 [ბოლო ნახვა 22.11.2022].

დაებრუნებინა ის პარლამენტისთვის, თუმცა პრეზიდენტის ადმინისტრაციამ იმავე დღეს გაავრცელა განცხადება[116] იმის შესახებ, რომ პრეზიდენტმა ხელი მოაწერა კანონპროექტს და შესაბამისად, ცვლილებები, რომელსაც როგორც ადგილობრივ ასევე საერთაშორისო დონეზე მწვავე კრიტიკა მოჰყვა, ძალაში შევიდა.

მოსამართლეების ნაწილმა[117], რომელიც თავიდანვე უარყოფითად აფასებდა შემოთავაზებულ ცვლილებებს, და სახალხო დამცველმა[118] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართეს და კანონში დაჩქარებული და გაუმჭვირვალე პროცედურით შესული ცვლილებების არაკონსტიტუციურად ცნობა მოითხოვეს. მათ პოზიციას ამყარებდა ვენეციის კომისიის 20 ივნისს გამოქვეყნებული მოსაზრება[119], რომელშიც „სინანული" იყო გამოთქმული იმის თაობაზე, რომ ცვლილებების მიღება „გადაჭარბებული სისწრაფით განხორციელდა, აკლდა გამჭვირვალობა მოტივებისა და მიზნების თვალსაზრისით და ინკლუზიური და ეფექტიანი კონსულტაციების გარეშე განხორციელდა". საკონსტიტუციო სასამართლოში აღნიშნული სარჩელების განხილვა ამ დრომდე არ დაწყებულა.

5.2. სასამართლო რეფორმა და იუსტიციის უმაღლესი საბჭო

2022 წელს კვლავ გამოწვევები იყო იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საქმიანობის მიმართულებით. 2022 წლის ივნისში, სამოქალაქო ორგანიზაციების ნაწილი ეხმიანებოდა იუსტიციის უმაღლეს საბჭოს მიერ მიხეილ ჩინჩალაძის თბილისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის პოზიციაზე ხელახალი ვადით დანიშვნის მცდელობას და მოუწოდებენ მოსამართლეებს არ დაეჭირათ მხარი კლანური მმართველობის გამაძლიერებელი გადაწყვეტილებებისათვის.[120] განცხადების ხელმომწერი ორგანიზაციების შეფასებით, სასამართლო სისტემის მიმართ ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე მზარდი კრიტიკის ფონზე იუსტიციის საბჭო, ცდილობდა საზოგადოებისგან მალულად შეენარჩუნებინა კლანური მმართველობა სასამართლო სისტემაში.[121] მოწოდების მიუხედავად საბჭომ მაინც მიიღო გადაწყვეტილება მიხეილ ჩინჩალაძის თბილისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარედ ხელმორედ 5 წლის ვადით დანიშვნის შესახებ.[122]

აღნიშნული გადაწყვეტილება არ ყოფილა ერთადერთი, რომელიც საზოგადოებაში საბჭოს მიმართ კრიტიკულ დამოკიდებულებას აძლიერებდა. ივნისში სამოქალაქო საზოგადოების მიერ კიდევ ერთი განცხადება გავრცელდა, რომელიც იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არაეფექტიანად საქმიანობის და კანონმდებლობით მისთვის დაკისრებულ მოვალეობათა არაჯეროვანი შესრულების პრაქტიკას ეხმაურებოდა[123]. კერძოდ, საუბარი იყო ბოლო პერიოდში საბჭოს მხრიდან ჩანიშნული სხდომების გაურკვეველი მიზეზებით გადადების

---

[116] საქართველოს პრეზიდენტის განცხადება, იხ.: https://bit.ly/3XpL3sT [ბოლო ნახვა 22.11.2022].

[117] მოსამართლეები საერთო სასამართლოების შესახებ სადავო კანონს საკონსტიტუციოში ასაჩივრებენ, იხ.: https://bit.ly/3OxCYhR [ბოლო ნახვა 22.11.2022].

[118] საქართველოს სახალხო დამცველმა საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართა და „საერთო სასამართლოების შესახებ" ორგანული კანონის დებულებების არაკონსტიტუციურად ცნობა მოითხოვა, იხ.: https://bit.ly/3Vkxcm5 [ბოლო ნახვა 22.11.2022].

[119] Venice Commission, Opinion on the December 2021 Amendments to the Organic Law on Common Courts, Strasbourg, 20 June 2022, Opinion No. 1077 / 2022, იხ.: https://bit.ly/3Ve21c2 [ბოლო ნახვა 22.11.2022].

[120] ხელმომწერი ორგანიზაციების განცხადება, იხ.: https://bit.ly/3TQQZYV [ბოლო ნახვა 22.11.2022].

[121] იქვე.

[122] საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2022 წლის 27 ივნისის N1/60 განკარგულება მ. ჩინჩალაძის თბილისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ, იხ.: https://bit.ly/3V8Px5y [ბოლო ნახვა 22.11.2022].

[123] სამოქალაქო საზოგადოება იუსტიციის უმაღლეს საბჭოს ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფისკენ მოუწოდებს, იხ.: https://bit.ly/3GA8CJN [ბოლო ნახვა 22.11.2022].

ზრდაზე. პრობლემებს შორის დასახელდა ასევე სხდომების დღის წესრიგის ზოგადი სახით ფორმულირება და მათი კანონით დადგენილ ვადაში გამოუქვეყნებლობაც. ამასთან, საბჭოს გამართულად საქმიანობის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი გამოწვევაა, რომ საქართველოს პარლამენტს 2021 წლის ივნისიდან 5 არამოსამართლე წევრი ჰყავს ასარჩევი. შესაბამისად, სასამართლო ხელისუფლების უმნიშვნელოვანესი კონსტიტუციური ორგანო არასრული - 10 წევრის შემადგენლობით მოქმედებს. სწორედ ამ პირობებში მიიღო საბჭომ სისტემაში არსებული გავლენიანი ჯგუფის წევრებისა და მათთან დაახლოებული მოსამართლეების ადმინისტრაციულ თანამდებობებზე დანიშვნის გადაწყვეტილებები, მათ შორის: ირაკლი ბონდარენკოს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ,[124] და ვასილ მშვენიერაძის თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის თავმდჯომარედ დანიშვნის შესახებ.[125] ამ დრომდე საბჭოში მხოლოდ ერთი, პრეზიდენტის მიერ დანიშნული არამოსამართლე წევრია, რაც კიდევ უფრო აძლიერებს კორპორატივიზმს საბჭოში.

სისტემაში კლანური გავლენების არსებობაზე მიუთითებდა უზენაესი და სააპელაციო სასამართლოების ყოფილი მოსამართლე - ბესარიონ ალავიძეც. 2022 წლის ივნისში სოციალურ ქსელში გამოქვეყნებული ღია წერილით ბიძინა ივანიშვილს მიმართა და მოუწოდა სასამართლოს „კლანის“ წევრებს შინ წასვლა „შინაურულად ურჩიოს“.[126] მომდევნო განცხადებებშიც ყოფილი მოსამართლე არაერთხელ აღნიშნავდა სასამართლო სისტემაში არსებულ „კლანურ“ მმართველობას, მეტიც, 7 ნოემბერს სოციალური ქსელით გამოქვეყნებულ წერილში ბესარიონ ალავიძე მის მიმართ ჩადენილ დანაშაულებზეც საუბრობდა. ბესარიონ ალავიძე არ ყოფილა ერთადერთი სისტემიდან წასული მოსამართლე, რომელიც ქართული მართლმსაჯულების პრობლემებზე საუბრობდა. ყოფილი მოსამართლე, ანა ღელეყვა, რომელიც ახლა ემიგრაციაშია, სისტემიდან ე.წ. კლანმა გარიყა. მოსამართლე ღელეყვას განცხადებით მას მოსამართლეობის ვადა იმიტომ არ გაუხანგრძლივეს, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრობაზე მხარი არ დაუჭირა მოსამართლე ლევან თევზაძის კანდიდატურას, რომელიც, მისი თქმით, საბჭოს იმდროინდელი მდივნის, ლევან მურუსიძის კადრი იყო.[127]

სასამართლო სისტემაში კლანის გავლენების ზრდაზე საუბრობდა კოალიცია დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის 2022 წლის ოქტომბერშიც, როდესაც საქართველოს მოსამართლეთა XXXI კონფერენციაზე დამსწრე 279 მოსამართლიდან აბსოლუტურმა უმრავლესობამ ისე დაუჭირა მხარი ლევან მურუსიძის და დიმიტრი გვრიტიშვილის იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებად არჩევას, რომ არც საბჭოს ძველი წევრების წასვლის მიზეზებით დაინტერესებულა და არც ახლადარჩეული წევრების გეგმებით.[128] საგულისხმოა, რომ საბჭოში წევრების ადგილი მას შემდეგ გახდა ვაკანტური, რაც უკვე ყოფილმა წევრებმა, გოჩა აბუსერიძემ და გიორგი გოგინაშვილმა თანამდებობები საკუთარი ინიციატივით დატოვეს. აღსანიშნავია, რომ აბუსერიძე 17 ოქტომბრიდან უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის წევრი გახდა, რაც იუსტიციის საბჭოს წევრობასთან შეუთავსებელია მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით. თუმცა, საზოგადოებისთვის ამ დრომდე უცნობია, რა გახდა საბჭოს ყოფილი

[124] საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2022 წლის 18 ივლისის N1/69 განკარგულება ირაკლი ბონდარენკოს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ, იხ.: https://bit.ly/3gpd2IB [ბოლო ნახვა 22.11.2022].

[125] საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2022 წლის 18 ივლისის N1/71 განკარგულება ვასილ მშვენიერაძის თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის თავმდჯომარედ დანიშვნის შესახებ, იხ.: https://bit.ly/3UXwxqD [ბოლო ნახვა 22.11.2022].

[126] ყოფილი მოსამართლის ღია წერილი ბიძინა ივანიშვილს, იხ.: https://bit.ly/3tPZj0u [ბოლო ნახვა 22.11.2022].

[127] ყოფილი მოსამართლე: კლანთან წინააღმდეგობის გამო, მოსამართლეობის ვადა არ გამიხანგრძლივეს, იხ.: https://bit.ly/3GyFxy6 [ბოლო ნახვა 22.11.2022].

[128] კოალიცია მოსამართლეთა XXXI კონფერენციას ეხმაურება, იხ.: https://bit.ly/3Ayboey [ბოლო ნახვა 22.11.2022].

წევრის, გიორგი გოგინაშვილის მიერ თანამდებობების ვადაზე ადრე დატოვების მიზეზი მაშინ, როდესაც ის იუსტიციის საბჭოს წევრად გასული წლის 31 ოქტომბერს იქნა არჩეული.

კოალიციის შეფასებით, იუსტიციის უმაღლეს საბჭოში ძველი წევრების დაბრუნება კიდევ უფრო ამცირებდა სასამართლოს სისტემური რეფორმის შესაძლებლობებს და აზიანებდა ისედაც შელახულ ნდობას სასამართლოს მიმართ. ამავდროულად, სასამართლო სისტემაში მნიშვნელოვან პოზიციებზე პირების ამგვარი პროცესებით დანიშვნა წინააღმდეგობაში მოდიოდა ევროკომისიის 12 პუნქტიანი რეკომენდაციების შინაარსთან და აშკარად აჩვენებდა, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სისტემური რეფორმის ნაცვლად, კიდევ უფრო ძლიერდება ამ ორგანოში არაფორმალური გავლენები და ძალაუფლების კონცენტრაცია.[129]

6. პოლიტიკურად მოტივირებული პრაქტიკა და საქმეები

6.1. ნიკა გვარამიას საქმე

2019 წელს საქართველოს პროკურატურამ გამოძიება დაიწყო სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2"-ის ყოფილი გენერალური დირექტორისა და ტელეკომპანია „მთავარი არხის" დამფუძნებლის ნიკა გვარამიას მიმართ, რომელსაც ბრალად ედებოდა წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, დიდი ოდენობით „რუსთავი 2"-ის კუთვნილი ქონებრივი უფლების გაფლანგვა, კომერციული მოსყიდვა, ყალბი ოფიციალური დოკუმენტის დამზადება და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია.[130]

2022 წლის 16 მაისს თბილისის საქალაქო სასამართლომ ნიკა გვარამია საქმის ორ ეპიზოდში დამნაშავედ ცნო უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისათვის (საქართველოს სისხლის სამართლის 220-ე მუხლი), ერთ ეპიზოდში სასჯელად გამოიყენა ჯარიმა (50 000 ლარის ოდენობით), მეორეში კი - თავისუფლების აღკვეთა და საბოლოოდ, შთანთქმის წესით შეუფარდა თავისუფლების აღკვეთა 3 წლისა და 6 თვის ვადით.[131] კერძოდ, ე.წ. რეკლამების ეპიზოდში, „განაჩენის თანახმად, ნიკა გვარამიამ ჩაიდინა საწარმოს, ტ/კ „რუსთავი 2-ის" დამაზიანებელი მოქმედება იმით, რომ 2015 წელს, კომპანიის მართვის დროს შეცვალა რეკლამის გაყიდვასთან დაკავშირებული ხელშეკრულების პირობები, რითიც კომპანიამ არ მიიღო უფრო მეტი შემოსავალი",[132] ხოლო ე.წ. მანქანის ეპიზოდი ეხება ტელეკომპანია „რუსთავი 2"-ის სარეკლამო ეთერის გაყიდვას საბაზრო ფასზე ნაკლებ ფასად 3 თვის განმავლობაში იმ მიზნით, რომ სანაცვლოდ რეკლამის განმთავსებელი კომპანიისგან ნიკა გვარამიას მეუღლეს მფლობელობაში მიეღო ავტომანქანა.[133]

2022 წლის 2 ნოემბერს თბილისი სააპელაციო სასამართლომ ნიკა გვარამიას მიმართ გამოიტანა გამამტყუნებელი განაჩენი და საქმის ორ ეპიზოდში დამნაშავედ ცნო უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებაში.[134] პირველი ინსტანციის სასამართლოს

---

[129] იქვე.
2019 წლის 6 სექტემბრის ბრიფინგი გენერალურ პროკურატურაში, იხ.: https://bit.ly/3heOZw0 [ბოლო ნახვა 08.11.2022]; ე.წ. „რუსთავი 2"-ის საქმეზე სასამართლომ განაჩენი დაადგინა, იხ.: https://bit.ly/3UkYrfU [ბოლო ნახვა 08.11.2022]

[131] ე.წ. „რუსთავი 2"-ის საქმეზე სასამართლომ განაჩენი დაადგინა, იხ.: https://bit.ly/3UkYrfU [ბოლო ნახვა 08.11.2022]; მოსამართლემ ნიკა გვარამიას პატიმრობა მიუსაჯა, იხ.: https://www.radiotavisupleba.ge/a/31852346.html [ბოლო ნახვა 08.11.2022]

[132] სახალხო დამცველის შემოწმების შედეგები ნიკა გვარამიას განაჩენთან დაკავშირებით, იხ.: https://bit.ly/3WKqW8p [ბოლო ნახვა 08.11.2022]

[133] იქვე.

[134] სააპელაციო სასამართლომ ნიკა გვარამია პოლიტიკურად მოტივირებულ საქმეზე პატიმრობაში დატოვა, იხ.: https://bit.ly/3NREESX [ბოლო ნახვა 08.11.2022]

განაჩენისგან განსხვავებით, სააპელაციო სასამართლომ ერთ-ერთ ეპიზოდში გვარამიას სასჯელი დაუმძიმა - ჯარიმის ნაცვლად შეუფარდა თავისუფლების აღკვეთა 3 წლითა და 6 თვით, საბოლოოდ კი, სასჯელთა შთანთქმის წესის გამო, საპატიმრო სასჯელი იგივე დარჩა.[135]

ნიკა გვარამიას მიმართ სამართალწარმოებას დიდი გამოხმაურება მოჰყვა როგორც ადგილობრივი, ასევე საერთაშორისო აქტორების მხრიდან. ჯერ კიდევ პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენის გამოტანამდე გვარამიას ბრალდების უსაფუძვლობა მიუთითეს სახალხო დამცველმა და არასამთავრობო ორგანიზაციებმა თავიანთ მოსაზრებებში.[136] მათ ასევე მწვავედ გააკრიტიკეს გვარამიას წინააღმდეგ მიღებული განაჩენები.[137] კერძოდ, არასამთავრობო ორგანიზაციების განცხადებით, სასამართლოების გადაწყვეტილებები წარმოადგენდა მედიაზე ზეწოლის ნიმუშს და მიზნად ისახავდა კრიტიკული ტელეკომპანიის საქმიანობის შეფერხებას.[138] გარდა ამისა, სახალხო დამცველის შეფასებით, „ნიკა გვარამიას მიმართ გამოტანილი სააპელაციო განაჩენი არ არის დასაბუთებული, წარმოადგენს კორპორატიული ქმედებისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების შემთხვევას და საქმეში არსებული პოლიტიკური მოტივი გადაწონის მართლმსაჯულების განხორციელების ინტერესს“.[139] პირველი და მეორე ინსტანციის სასამართლოების გადაწყვეტილებების, საქმის მასალების შესწავლის, ხელისუფლების წარმომადგენლების მიერ საჯაროდ გაკეთებული განცხადებებისა და ქვეყანაში არსებული მედია გარემოს ანალიზის საფუძველზე, სახალხო დამცველმა მიიჩნია, რომ საქმეში ირღვევა ევროკონვენციის მე-18 მუხლი, ანუ საქმეს აქვს პოლიტიკური მოტივი.[140]

ნიკა გვარამიას მიმართ სამართალწარმოება გააკრიტიკეს საერთაშორისო საზოგადოების წარმომადგენლებმაც.[141] აშშ-ს საელჩოს განცხადებით, საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება ეჭვქვეშ აყენებდა საქართველოს ერთგულებას კანონის უზენაესობისადმი,[142] ხოლო ევროპარლამენტარების განცხადებით, სარწმუნო მტკიცებულებების გარეშე გამოტანილი განაჩენი გამოხატავდა საქართველოში სამართლის

---

[135] იქვე.

[136] სახალხო დამცველის მიერ წარდგენილი სასამართლოს მეგობრის მოსაზრება, იხ.: https://bit.ly/3GA19dq [ბოლო ნახვა 22.11.2022]; ადამიანის უფლებათა ცენტრი, ნიკა გვარამიას წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმის სამართლებრივი შეფასება, იხ.: https://bit.ly/3VhLCmI [ბოლო ნახვა 22.11.2022]; საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო, ნიკა გვარამიას ბრალდების სისხლის სამართლის საქმის შეფასება, იხ.: https://bit.ly/3tRzv4h [ბოლო ნახვა 22.11.2022].

[137] სახალხო დამცველის შემოწმების შედეგები ნიკა გვარამიას განაჩენთან დაკავშირებით, იხ.: https://bit.ly/3WKqW8p [ბოლო ნახვა 08.11.2022]; სახალხო დამცველი ნიკა გვარამიას მიმართ თბილისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენს ეხმაურება, იხ.: https://bit.ly/3UhVMUw [ბოლო ნახვა 08.11.2022]; საზოგადოებრივი ორგანიზაციების განცხადება ნიკა გვარამიას თავისუფლების აღკვეთის შესახებ, იხ.: https://bit.ly/3NLN1Q1 [ბოლო ნახვა 08.11.2022]; კოალიცია ნიკა გვარამიას საქმეზე გამოტანილ გადაწყვეტილებას ეხმაურება, იხ.: https://bit.ly/3DPT0yD [ბოლო ნახვა 08.11.2022]; ნიკა გვარამიას საქმეზე გამოტანილი განაჩენი საიას შეფასებით დაუსაბუთებელია, იხ.: https://bit.ly/3WCaSWi [ბოლო ნახვა 08.11.2022]; 5 მიზეზი თუ რატომ არის ნიკა გვარამიას განაჩენი დაუსაბუთებელი, იხ.: https://bit.ly/3UlS2RI [ბოლო ნახვა 08.11.2022].

[138] კოალიცია ნიკა გვარამიას საქმეზე გამოტანილ გადაწყვეტილებას ეხმაურება, იხ.: https://bit.ly/3DPT0yD [ბოლო ნახვა 08.11.2022]; სააპელაციო სასამართლომ ნიკა გვარამია პოლიტიკურად მოტივირებულ საქმეზე პატიმრობაში დატოვა, იხ.: https://bit.ly/3NREESX [ბოლო ნახვა 08.11.2022].

[139] სახალხო დამცველის შეფასებით ნიკა გვარამიას სისხლის სამართლის საქმეში პოლიტიკური მოტივაცია დასტურდება, იხ.: https://bit.ly/3UHxWRs [ბოლო ნახვა 08.12.2022].

[140] იქვე.

[141] ბრიტანეთის საელჩო: იმედგაცრუებული ვართ ნიკა გვარამიას დაპატიმრების გამო, იხ.: https://bit.ly/3DOxr1q [ბოლო ნახვა 08.11.2022]; "გადაწყვეტილება კითხვებს აჩენს" – საფრანგეთის ელჩი გვარამიას დაკავებაზე, იხ.: https://bit.ly/3zXVutB [ბოლო ნახვა 08.11.2022]; პოლონეთი შეშფოთებულია ნიკა გვარამიას განაჩენის გამო – პოლონეთის საგარეო, იხ.: https://bit.ly/3UzIL8s [ბოლო ნახვა 08.11.2022]

[142] აშშ-ს საელჩო გვარამიაზე: საქართველოს ერთგულებას კანონის უზენაესობისადმი ეჭვქვეშ აყენებს, იხ.: https://bit.ly/3htDwsQ [ბოლო ნახვა 08.11.2022].

უზენაესობის გაუარესებას[143], აღმოსავლეთ ევროპასა და ცენტრალურ აზიაში Amnesty International-ის დირექტორმა კი გადაწყვეტილებას პირდაპირ უწოდა პოლიტიკურად მოტივირებული დევნა.[144] სააპელაციო სასამართლოს განაჩენის გამოტანის შემდეგ აშშ-ს საელჩომ განაცხადა, რომ „ნიკა გვარამიას მიმდინარე პატიმრობა რისკის ქვეშ აყენებს ქართველი ხალხის მკაფიო არჩევანსა და საქართველოს ლიდერების გაცხადებულ მიზანს - უფრო უსაფრთხო, დემოკრატიული, ევროპული მომავლისა“,[145] ხოლო ევროკომისიის საგარეო ქმედებათა სამსახურის პრეს-სპიკერმა აღნიშნა, რომ „ამ საქმესთან დაკავშირებით კითხვები დაისვა, მათ შორის სახალხო დამცველის მიერ“.[146]

ნიკა გვარამიას მიმართ სამართალწარმოებასა და ზემოაღნიშნულ კრიტიკასთან დაკავშირებით გავრცელდა თავად საქმის განმხილველი პირველი ინსტანციის მოსამართლის, სასამართლო სისტემისა და ხელისუფლების სხვა წარმომადგენლების განცხადებებიც. კერძოდ, პირველი ინსტანციის მოსამართლის გადაწყვეტილების მიღებიდან მალევე ცნობილი გახდა, რომ მოსამართლე ჩხიკვაძე აშშ-ის მთავრობის დაფინანსებულ გაცვლით სასწავლო ვიზიტით შეერთებულ შტატებში აღარ გაემგზავრებოდა, ხოლო თავად მოსამართლეს აღნიშნულთან დაკავშირებით კომენტარი არ გაუკეთებია.[147] მას შემდეგ, რაც შეერთებული შტატების საელჩომ ნიკა გვარამიას მოსამართლე ლაშა ჩხიკვაძე აშშ-ში დაგეგმილი პროგრამიდან მოხსნა, შტატებში ამავე პროგრამის მონაწილე არც დანარჩენი ხუთი ქართველი მოსამართლე გაემგზავრა.[148] გადაწყვეტილების გამოტანიდან რამდენიმე თვეში მედიის საშუალებით გავრცელდა მოსამართლე ჩხიკვაძის განცხადება, სადაც ის ამბობდა, რომ აშშ-ს საელჩომ აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით ანგარიში მოსთხოვა.[149] ამავე განცხადებაში მოსამართლემ ევროპარლამენტარი მაიკლ გალერი სასამართლო სისტემაზე ზეწოლაში დაადანაშაულა.[150]

მოსამართლის საპასუხოდ, ელჩმა დეგნანმა იმავე დღეს მედიასთან საუბრისას განაცხადა, რომ ნებისმიერი ვარაუდი, თითქოს აშშ ერეოდა სასამართლო პროცესში, არ შეესაბამებოდა სიმართლეს.[151] საკითხს გამოეხმაურნენ პოლიტიკოსებიც. ქართული ოცნების თავმჯდომარის, ირაკლი კობახიძის განცხადებით - ამერიკის საელჩოსგან გავრცელებული ბრალდებების უარყოფა არ მოუსმენია, რაც „ძალიან დამაფიქრებელი და ძალიან შემაშფოთებელი“ იყო მისთვის.[152] მმართველ გუნდთან ერთად განცხადება გაავრცელეს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ყოფილი წევრებმაც, რომლებმაც ფაქტიურად გაიმეორეს ირაკლი კობახიძის განცხადების სულისკვეთება. საბჭოს ყოფილი წევრების

---

[143] ევროპარლამენტარები: გვარამიას მიმართ დაუსაბუთებელი განაჩენი ეხმიანება დაშინების პრაქტიკას, იხ.: https://bit.ly/3hq29GI [ბოლო ნახვა 08.11.2022].

[144] Amnesty International: ნიკა გვარამიას განაჩენი პოლიტიკური მოტივით განსხვავებული ხმის ჩახშობაა, იხ.: https://bit.ly/3EcvbCG [ბოლო ნახვა 08.11.2022].

[145] აშშ-ს საელჩო: გვარამიას პატიმრობა რისკის ქვეშ აყენებს ევროპული მომავლის არჩევანს, იხ.: https://bit.ly/3DNWtxS [ბოლო ნახვა 08.11.2022].

[146] საქართველო: ევროკომისიის საგარეო ქმედებათა სამსახურის პრეს-სპიკერის განცხადება ბ-ნ გვარამიას საქმეზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენთან დაკავშირებით, იხ.: https://bit.ly/3UhQxE8 [ბოლო ნახვა 08.11.2022].

[147] მოსამართლე ლაშა ჩხიკვაძე: თვითონ საელჩომ გააკეთოს განმარტება, იხ.: https://bit.ly/3GEh3Ue [ბოლო ნახვა 22.11.2022].

[148] ჩხიკვაძის პროგრამიდან მოხსნის შემდეგ აშშ-ში არც სხვა 5 მოსამართლე წავიდა, იხ.: https://bit.ly/3XqbDT0 [ბოლო ნახვა 22.11.2022].

[149] მოსამართლე ლაშა ჩხიკვაძე - ევროპარლამენტარ გალერის განცხადება პირდაპირი ზეწოლაა ჩემს კოლეგებზე, რომლებმაც უნდა განიხილონ ნიკა გვარამიას საქმე ზემდგომ ინსტანციაში და რომლებზეც უკვე ღია ზეწოლა იწყება, იხ.: https://bit.ly/3U0E4Uq [ბოლო ნახვა 22.11.2022].

[150] იქვე.

[151] დეგნანი: ნებისმიერი ვარაუდი, რომ აშშ ერეოდა სასამართლო პროცესში, არ შეესაბამება სიმართლეს, იხ.: https://bit.ly/3TWjWmj [ბოლო ნახვა 22.11.2022].

[152] კობახიძე ჩხიკვაძეზე: ელჩისგან ბრალდების უარყოფა არ მოვისმინეთ, რაც დამაფიქრებელია, იხ.: https://bit.ly/3EQjMbR [ბოლო ნახვა 22.11.2022].

მიმართვაში ვკითხულობთ - „ბრალდებაზე პასუხს ადრესატმა ელჩმა პრაქტიკულად გვერდი აუარა, რაც უკვე უფრო მეტ კითხვის ნიშნებს აჩენს.“[153]

საქართველოს დასავლელი პარტნიორების კრიტიკა ნიკა გვარამიას საქმის ზემდგომ ინსტანციებში განხილვის პარალელურად გაგრძელდა. იუსტიციის უმაღლეს საბჭოს წევრის სტატუსით დაბრუნებულმა ლევან მურუსიძემ მედიასთან საუბრის დროს განაცხადა, რომ „ერთხელ და სამუდამოდ უნდა დამთავრდეს ის ცილისწამება და თავდასხმები, რაც ხდება სასამართლოს წინააღმდეგ."[154] მურუსიძის განცხადებას გამოეხმაურა ელჩი დეგნანიც, რომლის შეფასებითაც, პროგრამებმა და იმ შესაძლებლობებმა რაც ამ პროგრამების მეშვეობით ქართველ მოსამართლეებს მიეცათ, დიდი სარგებელი მოუტანა მათ.[155]

ნიკა გვარამიას მიმართ გამოტანილი განაჩენები მიუთითებს ქვეყანაში პოლიტიზირებულ მართლმსაჯულებაზე, გამოხატვისა და მედიის თავისუფლების უკიდურეს გაუარესებაზე. ნიკა გვარამიას მიმართ წარმოებული სისხლის სამართლის საქმე და გამოტანილი განაჩენები განსაკუთრებით საგანგაშოა ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მოპოვების წინაპირობის გათვალისწინებით. ევროკომისიის 12 პუნქტიდან ერთ-ერთი თავისუფალი, პროფესიონალი, პლურალისტური და დამოუკიდებელი მედია გარემოს უზრუნველსაყოფად ძალისხმევის გაძლიერებასა და მედიასაშუალებების მფლობელების წინააღმდეგ სამართალწარმოების უმაღლეს სამართლებრივი სტანდარტით წარმართვას გულისხმობს.[156] ამის საპირისპიროდ, გვარამიას საქმეში ჩანს, როგორც მედიის დამოუკიდებლობაზე თავდასხმა, ასევე ყველაზე მძიმე- პოლიტიკურად მოტივირებული სამართალწარმოება.

6.2. მიხეილ სააკაშვილის საქმე

საქართველოს მესამე პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის - რომელიც პატიმრობის ქვეშ სამედიცინო დაწესებულებაში იმყოფება - ჯანმრთელობის გაუარესებული მდგომარეობის შესახებ საყურადღებო ინფორმაცია 2022 წელს არაერთხელ გავრცელდა.

ამ მხრივ, საყურადღებოა სახალხო დამცველის მიერ შექმნილი სპეციალისტთა/ექსპერტთა ჯგუფის 2022 წლის 06 დეკემბრის N7 დასკვნა - მიხეილ სააკაშვილის სამედიცინო მდგომარეობის მონიტორინგის შედეგების შესახებ.[157] მონიტორინგისათვის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ვიზიტები კლინიკა „ვივამედში“ განხორციელდა 2022 წლის 4 და 5 დეკემბერს.[158] ჯგუფის დასკვნის თანახმად, მიხეილ სააკაშვილის „მდგომარეობა ბოლო შეფასების (27.04.2022) შემდგომ მკვეთრად გაუარესებულია და ფასდება როგორც მძიმე“.[159] ამავე დასკვნაში არსებული ექსპერტული მოსაზრებით, პაციენტს ჩაუტარდა საქართველოში ხელმისაწვდომი ყველა ლაბორატორიული თუ ინსტრუმენტული კვლევა და მკურნალობა, რამოდენიმე პოლიპროფილურ კლინიკაში, მიუხედავად ამისა, პაციენტის მდგომარეობა სწრაფად უარესდება. ვთვლით, რომ მოსალოდნელი შეუქცევადი

---

[153] საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ყოფილი წევრები განცხადებას ავრცელებენ, იხ.: https://bit.ly/3EuZqU8 [ბოლო ნახვა 22.11.2022].

[154] "უნდა დამთავრდეს ის ცილისწამება და თავდასხმები, რაც ხდება სასამართლოს წინააღმდეგ" | მურუსიძე, იხ.: https://bit.ly/3XnKNuE [ბოლო ნახვა 22.11.2022].

[155] ჩემი ინფორმაციით, ამ ტრენინგებმა დიდი სარგებელი მოუტანა მოსამართლეებს -დეგნანის პასუხი მურუსიძეს, იხ.: https://bit.ly/3Ayz5n5 [ბოლო ნახვა 22.11.2022].

[156] Opinion on the EU membership application by Georgia, იხ.: https://bit.ly/3hllkkW [ბოლო ნახვა 08.11.2022]

[157] სახალხო დამცველის მიერ შექმნილ სპეციალისტთა/ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა N7 მიხეილ სააკაშვილის სამედიცინო მდგომარეობის მონიტორინგის შედეგების შესახებ, იხ.: https://bit.ly/3Y71WZH [ბოლო ნახვა 08.12.2022].

[158] იქვე.

[159] იქვე.

ჯანმრთელობის გაუარესების თავიდან ასაცილებლად საჭიროა დროული და ძირეული ზომების მიღება.

ცენტრ „ემპათიას“ მიერ ჩატარებული სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზა, რომელიც მიმდინარეობდა 2022 წლის 1 ივნისიდან 28 ნოემბრამდე.[160] ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, მიხეილ სააკაშვილს აღენიშნება 10-მდე წამყვანი დიაგნოზი და ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო სააკაშვილის პატიმრობა დაუშვებელია და შეუთავსებელია პატიმრობის საერთაშორისო სტანდარტებთან.[161]

მესამე პრეზიდენტის ჯანმრთელობის მდგომარეობას გამოეხმაურნენ ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციებიც, რომელთა თანახმად, „შემდგომი მკურნალობის საკითხი უნდა გადაწყდეს არა პოლიტიკური მიზანშეწონილების, არამედ მხოლოდ ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვის სტანდარტების გათვალისწინებით“.[162] სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობას აკვირდებიან ქვეყნის დასავლელი პარტნიორებიც.[163]

აღსანიშნავია, რომ ქვეყანაში ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვის პოზიტიური ვალდებულება ხელისუფლებას აქვს. ეს ვალდებულება განსაკუთრებით მძაფრად იმ ადამიანების მიმართ მოქმედებს, ვინც სახელმწიფოს ეფექტური კონტროლის ქვეშ, პატიმრობაში იმყოფებიან. შესაბამისად, მიხეილ სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე სრული პასუხისმგებლობა ხელისუფლებას ეკისრება. პასუხისმგებლობასთან ერთად ხელისუფლება, მისი ყველა შტო ვალდებულია მიხეილ სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობის საკითხზე მსჯელობისას მხოლოდ სიცოცხლისა და ჯანმრთელობის უფლების დაცვის ინტერესებით იხელმძღვანელოს.

მიხეილ სააკაშვილის მიმართ წარმოებული მართლმსაჯულება, მათ შორის, იმ საქმეებზე, რომელთა ფარგლებშიც მიხეილ სააკაშვილს დღეს სასჯელი აქვს შეფარდებული, GDI-ს მიერ ჯერ კიდე 2015 წელს შეფასდა, როგორც პოლიტიკურად მიკერძოებული.[164]

6.3. დავით კეზერაშვილის და ტვ „ფორმულას“ საქმე

2021 წლის 7 სექტემბერს საქართველოს უზენაესმა სასამართლომ დამნაშავედ ცნო თავდაცვის ყოფილი მინისტრი და ტელეკომპანია ფორმულას დამფუძნებელი დავით კეზერაშვილი ე.წ. „წვრთნების საქმეზე“, რომელზეც ქვედა ინსტანციებს გამამართლებელი განაჩენი ჰქონდათ გამოტანილი.[165] დავით კეზერაშვილს სახელმწიფო სახსრების გაფლანგვას ედავებოდა.[166] უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების შემდეგ, 2021 წლის სექტემბერში საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ კეზერაშვილისა და მისი თავდაცვის მინისტრობისას სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტის უფროსის, ალექსანდრე ნინუას წინააღმდეგ სასამართლოში სამოქალაქო სარჩელი შეიტანა და მოითხოვა

[160] ემპათია: სააკაშვილს 10-მდე წამყვანი დიაგნოზი აქვს, რაც შეუთავსებელს ხდის პატიმრობას, იხ.: https://bit.ly/3VQsBYT [ბოლო ნახვა 05.12.2022].

[161] იქვე.

[162] განცხადება მიხეილ სააკაშვილის შემდგომ მკურნალობასთან დაკავშირებით, იხ.: https://bit.ly/3iC0AGa [ბოლო ნახვა 08.12.2022].

[163] EU-ს ელჩი: ახლოდან ვაკვირდებით სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობას, იხ.: https://formulanews.ge/News/81267 [ბოლო ნახვა 05.12.2022]; დეგნანი: განვაგრძობთ სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე დაკვირვებას, იხ.: https://bit.ly/3UtC7A5 [ბოლო ნახვა 05.12.2022].

[164] შეფასებებისთვის იხ.: საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა, პოლიტიკურად მიკერძოებული მართლმსაჯულება საქართველოში 2015, იხ.: https://gdi.ge/uploads/other/0/720.pdf [ბოლო ნახვა 05.12.2022].

[165] სასამართლომ კეზერაშვილსა და ნინუას თავდაცვის სამინისტროსთვის €5 060 000-ის ანაზღაურება დააკისრა, იხ.: https://bit.ly/3Y1j431 [ბოლო ნახვა 05.12.2022].

[166] იქვე; დავით კეზერაშვილი დღეისთვის არც ერთ საქმეზე არ არის მსჯავრდებული, იხ.: https://bit.ly/3Uwr0Xc [ბოლო ნახვა 05.12.2022].

დანაშაულებრივი ქმედებით მიყენებული ზიანის 5 060 000 ევროს ანაზღაურება.[167] 2022 წლის 29 მარტს თბილისის საქალაქო სასამართლომ კეზერაშვილსა და ნინუას თავდაცვის სამინისტროს სასარგებლოდ დააკისრა ზიანის ანაზღაურება 5 060 000 ევროს ოდენობით.[168] სამოქალაქო დავის განხილვა გრძელდება სააპელაციო სასამართლოში.[169]

დავით კეზერაშვილის მიმართ როგორც სისხლის, ისე სამოქალაქო სამართლის მართლმსაჯულების მიკერძოებულობასა და პოლიტიკურ ელფერზე სერიოზული ეჭვები არსებობს. ამ ეჭვებს აჩენს არაერთი გარემოება, მათ შორის კი - კეზერაშვილის წინააღმდეგ 6 წლის წინ აღძრულ საქმეზე უზენაეს სასამართლოში წარმოების განახლება 2021 წლის არჩევნებამდე ერთი თვით ადრე[170] და საქმის განახლებამდე პრემიერ მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის განცხადება: „მე რაც წავედი, მერე გაამართლეთ თქვენ ის. ახლა მიხედავენ, როგორც ჩანს“[171]. თავად ტელეკომპანია „ფორმულას“ მენეჯმენტმა საქმის განახლება მაუწყებლის კრიტიკულ სარედაქციო პოლიტიკას დაუკავშირა,[172] ხოლო სახალხო დამცველის შეფასებით პრობლემური იყო ის, რომ უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებას არ ჰქონდა სამოტივაციო ნაწილი.[173] რაც შეეხება კეზერაშვილის წინააღმდეგ სამოქალაქო დავას, კოალიციამ „მედიის ადვოკატირებისათვის“ განაცხადა, რომ დავა მიზნად ისახავდა „ფორმულაზე“, როგორც კრიტიკულ ტელევიზიაზე“, ზეწოლას.[174] ანალოგიურად, ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის განცხადებით, სამოქალაქო სარჩელი „შესაძლოა ემსახურებოდეს ხელისუფლების მიმართ კრიტიკულად განწყობილი მედიასაშუალების საქმიანობისთვის ხელის შეშლას“.[175]

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქვეყანაში გამოხატვის თავისუფლების დასაცავად და, შესაბამისად, ევროკავშირის 12 წინაპირობიდან მედია გარემოს შესახებ მოთხოვნის შესასრულებლად, მნიშვნელოვანია, რომ დავით კეზერაშვილის საქმეზე მართლმსაჯულება არ იქნას გამოყენებული პოლიტიკურ ინსტრუმენტად.

6.4. კარტოგრაფების საქმე

2022 წელს თბილისის საქალაქო სასამართლოში განახლდა ე.წ. „კარტოგრაფების საქმის“ განხილვა,[176] რომელშიც ერთ-ერთ ბრალდებულია ივერი მელაშვილი - დელიმიტაცია-დემარკაციის კომისიის ყოფილ წევრი და საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მეზობელი ქვეყნების დეპარტამენტის სასაზღვრო ურთიერთობათა სამსახურის ყოფილი უფროსი. ივერი მელაშვილი დღემდე გირაოს საფუძველზე პირობით არის გათავისუფლებული და ელოდება გადაწყვეტილებას, რომლის მიღების პროცესი, მელაშვილის თქმით, უსაშველოდ გაიწელა დროში.[177] შესაბამისად, ივერი მელაშვილი

---

[167] თავდაცვის სამინისტრო დავით კეზერაშვილსა და ალექსანდრე ნინუას უჩივის, იხ.: https://bit.ly/3uquzne [ბოლო ნახვა 05.12.2022].

[168] სასამართლომ კეზერაშვილსა და ნინუას თავდაცვის სამინისტროსთვის €5 060 000-ის ანაზღაურება დააკისრა, იხ.: https://bit.ly/3Y1j431 [ბოლო ნახვა 05.12.2022].

[169] კეზერაშვილის საქმის განხილვა 6 დეკემბერს დაიწყება, იხ.: https://formulanews.ge/News/79773 [ბოლო ნახვა 05.12.2022].

[170] სასამართლომ კეზერაშვილსა და ნინუას თავდაცვის სამინისტროსთვის €5 060 000-ის ანაზღაურება დააკისრა, იხ.: https://bit.ly/3Y1j431 [ბოლო ნახვა 05.12.2022].

[171] ღარიბაშვილის მუქარიდან 2 თვეში, უზენაესში, თადუმაძე დავით კეზერაშვილის საქმეს განიხილავს, იხ.: https://formulanews.ge/News/56117 [ბოლო ნახვა 05.12.2022].

[172] გუმბარიძე: კეზერაშვილის საქმის განახლება პოლიტიზირებულია და უკავშირდება "ფორმულას", იხ.: https://bit.ly/3P4va7K [ბოლო ნახვა 05.12.2022].

[173] ომბუდსმენს კეზერაშვილის საქმე "ფორმულასთან" კონტექსტში აეჭვებს, იხ.: https://bit.ly/3HcMzZQ [ბოლო ნახვა 05.12.2022].

[174] მედიის ადვოკატირების კოალიცია: დავით კეზერაშვილის წინააღმდეგ წარმოებული დავა ტელეკომპანია “ფორმულაზე” ზეგავლენის მოხდენას ისახავს მიზნად, იხ.: https://bit.ly/3gUntV3 [ბოლო ნახვა 05.12.2022].

[175] ქარტია: მოვუწოდებთ ხელისუფლებას, ტელეკომპანია ფორმულას საქმიანობაში ხელი არ შეუშალოს, იხ.: https://bit.ly/3uoaj5B [ბოლო ნახვა 05.12.2022].

[176] პაუზის შემდეგ ე.წ. კარტოგრაფების საქმის განხილვა განახლდა, იხ.: https://bit.ly/3P2G5yA [ბოლო ნახვა 06.12.2022].

[177] ივერი მელაშვილის პირობით თავისუფლების ერთი წელი, იხ.: https://bit.ly/3FtNZhq [ბოლო ნახვა 06.12.2022].

დღემდე არის ბრალდებული იმ საქმეში, რომელშიც მართლმსაჯულების განხორციელება ადგილობრივმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა პოლიტიკურად მოტივირებულად მიიჩნიეს,[178] ხოლო სახალხო დამცველის შეფასებით, „საქმეს აშკარად აქვს პოლიტიკური ან სხვა მოტივი, რომელიც საქმეში არსებული ხარვეზების ფონზე, კანონიერ მოტივს გადაწონის“.[179]

ე.წ. „კარტოგრაფების საქმეში“ ივერი მელაშვილის ინტერესებს ეროვნულ დონეზე და ევროსასამართლოს წინაშე GDI იცავს.[180]

6.5. საეჭვო საკადრო ცვლილებები კულტურის სფეროში

2021 წლის მარტიდან, საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრის ცვლილების შემდეგ, სამინისტროს სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულში მნიშვნელოვანი საკადრო ცვლილებები მიმდინარეობს.[181] კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოდან და საქართველოს ეროვნული მუზეუმიდან ამ დროისათვის უკვე 100-ზე მეტი თანამშრომელი .[182] საკადრო ცვლილებების საჭიროებას და საფუძვლიანობას ეჭვქვეშ აყენებს დათხოვილი თანამშრომლების პოზიცია. კერძოდ, „გათავისუფლებულთა მოსაზრებით, მუზეუმიდან მათი დათხოვნის ერთადერთი მიზეზი კულტურის სამინისტროში ახალი მინისტრის და მის მიერ ამ დაწესებულებებში განახლებული ადმინისტრაციების საკადრო პოლიტიკაა, რომელიც რეორგანიზაციას აწარმოებს არა კვალიფიკაციის შეფასების ნიშნით, არამედ, მხოლოდ მათ მიმართ ლოიალურად განწყობილი თანამშრომლების შენარჩუნების მიზნით“.[183] კითხვის ნიშანს აჩენს ასევე ისიც, რომ მუზეუმიდან და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოდან გათავისუფლებულია მუზეუმის ისტორიული შენობის გადარჩენის, უსამართლო საკადრო პოლიტიკის და საჯარო ინფორმაციის გაუცემლობის შესახებ საპროტესტო პეტიციის თითქმის ყველა ხელმომწერი.[184] შესაბამისად, კულტურის სფეროში შეინიშნება საკადრო წმენდა იმ პირების მიმართ, რომლებიც კრიტიკულ პოზიციას აფიქსირებენ. იქიდან გამომდინარე, რომ უკვე გათავისუფლდა ათობით თანამშრომელი, წინამდებარე ქვეთავში საილუსტრაციოდ განხილულია რამდენიმე შემთხვევა.

6.5.1. პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრების სამხატვრო ხელმძღვანელების შესარჩევი კონკურსის საქმეები

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა განიხილა პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრების სამხატვრო ხელმძღვანელების შესარჩევი კონკურსის მონაწილეების - ლ.ჩ.-ს (ლაშა ჩხვიმიანის), მ.ჩ.-ს და გ.ს.-ს განცხადებები განსხვავებული და პოლიტიკური შეხედულებების ნიშნით დისკრიმინაციის ფაქტებთან დაკავშირებით.[185]

---

[178] კარტოგრაფების საქმე - პოლიტიკურად მოტივირებული ახალი გამოძიება, იხ.: https://bit.ly/3FsRGDM [ბოლო ნახვა 06.12.2022].

[179] საქართველოს სახალხო დამცველის სასამართლოს მეგობრის მოსაზრება ე. წ. კარტოგრაფების საქმეზე, იხ.: https://bit.ly/3Bcsgb1 [ბოლო ნახვა 06.12.2022].

[180] „კარტოგრაფების საქმე“ სტრასბურგში გაიგზავნა, იხ.: https://bit.ly/3XWiEuN [ბოლო ნახვა 06.12.2022].

[181] კულტურის სფეროში მასშტაბური საკადრო წმენდა გრძელდება, იხ.: https://bit.ly/3AtofhZ [ბოლო ნახვა 21.11.2022].

[182] იქვე.

[183] თეა წულუკიანის მიერ კულტურის სფეროში ჩატარებული საკადრო წმენდის შედეგად გათავისუფლებულთა ინტერესებს სამართლიანი არჩევნები (ISFED), სოციალური სამართლიანობის ცენტრი და საია დაიცავს https://bit.ly/3UFPm15 [ბოლო ნახვა 21.11.2022].

[184] თეა წულუკიანის მიერ კულტურის სფეროში ჩატარებული საკადრო წმენდის შედეგად გათავისუფლებულთა ინტერესებს სამართლიანი არჩევნები (ISFED), სოციალური სამართლიანობის ცენტრი და საია დაიცავს https://bit.ly/3UFPm15 [ბოლო ნახვა 21.11.2022].

[185] საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრს ქ-ნ თეა წულუკიანს საქართველოს სახალხო დამცველის ზოგადი წინადადება დისკრიმინაციის თავიდან აცილებისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხზე, გვ. 1, იხ.: https://bit.ly/3UVUI8S [ბოლო ნახვა 21.11.2022].

ლაშა ჩხვიმიანი არის სსიპ „ზინაიდა კვერენჩხილაძის სახელობის დმანისის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის“ ყოფილი სამხატვრო ხელმძღვანელი, რომელმაც უფლებამოსილების ვადის გასვლის შემდეგ განაცხადი წარადგინა იგივე პოზიციის შესარჩევ კონკურსზე.[186] კონკურსის ფარგლებში მხოლოდ ერთი განაცხადი შევიდა.[187] საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრის ბრძანებით, კონკურსი ჩაიშალა და ლ. ჩხვიმიანი -ს კანდიდატურის წარდგენა საბჭოსათვის მიზანშეუწონლად იქნა მიჩნეული.[188] ლ. ჩხვიმიანის აზრით, მინისტრის გადაწყვეტილება განპირობებული იყო მისი განსხვავებული პოლიტიკური და სხვა შეხედულებებით.[189] ანალოგიურად, გ. ს.-მ განაცხადი წარადგინა სსიპ „სენაკის აკაკი ხორავას სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრისა“ და სსიპ „გორის გიორგი ერისთავის სახელობის პროფესიული დრამატული თეატრის“ სამხატვრო ხელმძღვანელების შესარჩევ კონკურსებზე, რომლებიც მინისტრის ბრძანებით ჩაშლილად გამოცხადდა.[190] გ.ს. ამ გადაწყვეტილებას უკავშირებს იმას, რომ იგი გამოთქვამდა კრიტიკას კულტურის სფეროში არსებულ გამოწვევებზე და, ასევე, პიესის „ხალხის მტერი“ დამდგმელი რეჟისორი იყო, რასაც დმანისის მუნიციპალიტეტის მხრიდან უკმაყოფილება მოჰყვა.[191]

სახალხო დამცველმა განიხილა სამივეს განაცხადი და განმარტა, რომ თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის არჩევის პროცესში დარგის სპეციალისტების მონაწილეობის გარეშე, „იზრდება შრომისა და კულტურულ ცხოვრებაში მონაწილეობის უფლებებში, აზრისა და გამოხატვის და შემოქმედების თავისუფლებებში ჩარევისათვის ხელსაყრელი ნიადაგის ჩამოყალიბების რისკები და ჩნდება არაობიექტური, მიკერძოებული, დისკრიმინაციული მოპყრობისა და შემოქმედებით საქმიანობაში ჩარევის ვარაუდი. აღნიშნულის თვალსაჩინო მაგალითია განსახილველი საქმეები, რომელთა ფარგლებშიც განმცხადებელთა მიმართ დისკრიმინაციული მოპყრობის ვარაუდი, მეტწილად, სწორედ იმ გარემოებამ წარმოშვა, რომ მინისტრმა კანდიდატების სარეკომენდაციო საბჭოსთვის წარდგენა მიზანშეწონილად არ ჩათვალა და შესაბამისი კონკურსები ჩაშლილად გამოაცხადა“.[192] სახალხო დამცველის მიხედვით, სამხატვრო ხელმძღვანელების „შერჩევის კუთხით შესაბამის პერიოდში გამოვლენილი პრაქტიკა ხელს უწყობს იმგვარი პირობების შექმნას, რომლებმაც, შესაძლოა, კონკრეტული კანდიდატები, მათი განსხვავებული შეხედულებების ან დისკრიმინაციისგან დაცული სხვა ნიშნის გამო, კონკურსის მონაწილე სხვა პირებთან თუ მინისტრის მიერ საკუთარი შეხედულებით დანიშნულ კადრებთან შედარებით, არახელსაყრელ მდგომარეობაში ჩააყენოს შრომითი უფლებებისა და კულტურულ ცხოვრებაში მონაწილეობის უფლებითა და აზრისა და გამოხატვის და შემოქმედების თავისუფლებებით სარგებლობისას და, ამგვარად, პირდაპირი დისკრიმინაციის შემადგენლობა შექმნას“.[193] სწორედ ამიტომ, სახალხო დამცველმა კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრს ზოგადი წინადადებით მიმართა და მოითხოვა პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრების სამხატვრო ხელმძღვანელების შერჩევის პროცესში დისკრიმინაციული მოტივებისგან თავისუფალი გადაწყვეტილებების მიღების ხელშეწყობის მიზნით, ცვლილებების განხორციელება.[194]

---

[186] იქვე.
[187] იქვე.
[188] იქვე, გვ. 2.
[189] იქვე, გვ. 3.
[190] იქვე, გვ. 4-5.
[191] იქვე გვ. 5.
[192] იქვე, გვ. 9-10.
[193] იქვე, გვ. 13.
[194] სახალხო დამცველმა კულტურის მინისტრს პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრების სამხატვრო ხელმძღვანელების შერჩევისას თანასწორობის პრინციპთან შეუსაბამო პრაქტიკის აღმოფხვრისკენ მოუწოდა, იხ.: https://bit.ly/3EiSSI4 [ბოლო ნახვა 21.11.2022].

6.5.2. შოთა რუსთაველის სამეცნიერო ფონდის მიერ ფუნდამენტური კვლევების კონკურსში გამარჯვებული პროექტის საქმე

აღსანიშნავია ასევე 2022 წლის 26 ოქტომბერს სახალხო დამცველის მიერ გაცემული რეკომენდაცია განსხვავებული მოსაზრების ნიშნით პირდაპირი დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ. სახალხო დამცველს მიმართეს განმცხადებლებმა, რომელთა პროექტმა, ეროვნული მუზეუმის სახელით, გაიმარჯვა შოთა რუსთაველის სამეცნიერო ფონდის მიერ ფუნდამენტური კვლევების კონკურსში.[195] მიუხედავად ამისა, მუზეუმის დირექტორთა საბჭომ უარი თქვა დაფინანსების მიღებაზე.[196] ამ საქმეში სახალხო დამცველმა განმარტა, რომ „მას შემდეგ, რაც ცნობილი გახდა კონკურსში განმცხადებელთა პროექტის გამარჯვების შესახებ, მინისტრმა ეროვნული მუზეუმის დებულებაში შესული ცვლილებების გზით შექმნა განმცხადებელთა კვლევითი პროექტიდან ჩამოშორების მექანიზმი, ხოლო დირექტორატმა აღასრულა დისკრიმინაციული განზრახვა“.[197] სახალხო დამცველმა მიუთითა, რომ განმცხადებლებმა რამდენჯერმე გააკრიტიკეს ხელოვნების მუზეუმის ახალი ადმინისტრაცია და კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრი.[198] სახალხო დამცველმა დაადგინა, რომ „გამარჯვებული პროექტის დაფინანსებაზე უარის თქმა განპირობებული იყო მხოლოდ განმცხადებლების მიერ დაფიქსირებული პოზიციებით“[199] და „განმცხადებლის მიმართ, მოპასუხეების მხრიდან ადგილი ჰქონდა მათ პირად ცხოვრებასა და პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებაში ჩარევას გამოხატვის თავისუფლებით დაცული აზრის გამო“.[200] აღსანიშნავია, რომ რეკომენდაციაში ზოგადად ყურადღება გამახვილებულია ბოლო პერიოდში კულტურის სფეროში არსებულ პრობლემებზე და არსებულ ეჭვებზე სამინისტროს სისტემაში დასაქმებულთა შრომითი უფლებებისა და თანასწორობის პრინციპის სათანადო უზრუნველყოფის, აგრეთვე ცენზურის დაწესების მცდელობის შესახებ.[201]

7. პოლიტიკური პროცესები და ადამიანის უფლებები

7.1. ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის წინაპირობები

2022 წლის 3 მარტს საქართველომ ევროკავშირს წარუდგინა განაცხადი ევროკავშირის წევრობაზე,[202] ხოლო აპრილში მიიღო კითხვარი თვითშეფასების კითხვარი, რომლის საფუძველზეც ევროკომისიას საქართველოს განაცხადის შესახებ მოსაზრება უნდა მოემზადებინა.[203] მთავრობამ კითხვარის პირველი შევსებული ნაწილი ევროკავშირს 2 მაისს, ხოლო მეორე ნაწილი 10 მაისს გადასცა.[204] 2022 წლის 17 ივნისს ევროკომისიამ გამოაქვეყნა საქართველოს განაცხადის შესახებ თავისი მოსაზრება, რომელშიც საქართველოს განუსაზღვრა ევროკავშირის წევრის კანდიდატის სტატუსის მისაღებად შესასრულებელი 12 პრიორიტეტი.[205] 2022 წლის 23 ივნისს ევროპულმა საბჭომ მხარი

[195] სახალხო დამცველის რეკომენდაცია კულტურის მინისტრს და სსიპ ეროვნული მუზეუმის დირექტორატის წევრებს განსხვავებული მოსაზრების ნიშნით დისკრიმინაციის შესახებ, გვ. 2, იხ.: https://bit.ly/3tOydqM [ბოლო ნახვა 21.11.2022].
[196] იქვე.
[197] იქვე, გვ. 14.
[198] იქვე, გვ. 18.
[199] იქვე, გვ. 19.
[200] იქვე.
[201] იქვე, გვ. 14-15.
[202] საქართველომ ევროკავშირში გაწევრიანებაზე განაცხადი შეიტანა. რა ხდება შემდეგ? იხ.: https://bit.ly/3GvewvC [ბოლო ნახვა 21.11.2022].
[203] მთავრობამ ევროკავშირის თვითშეფასების კითხვარი გამოაქვეყნა, იხ.: https://bit.ly/3GyMxuR [ბოლო ნახვა 21.11.2022].
[204] საქართველომ ევროკავშირის კითხვარის მეორე ნაწილი წარადგინა, იხ.: https://bit.ly/3GCpRtN [ბოლო ნახვა 21.11.2022].
[205] ევროპული პერსპექტივა საქართველოსთვის, იხ.: https://bit.ly/3g46C1j [ბოლო ნახვა 21.11.2022].

დაუჭირა ამ 12 პრიორიტეტს და აღიარა საქართველოს ევროპული პერსპექტივა.[206] აღსანიშნავია, რომ ევროკომისიის მიერ დადგენილი 12 წინაპირობა მჭიდროდ უკავშირდება ქვეყანაში ადამიანის უფლებათა და კანონის უზენაესობის კუთხით არსებულ მდგომარეობასა და მის გაუმჯობესებას, მათ შორის კი ისეთ საკითხებს, როგორებიცაა მართლმსაჯულების რეფორმა, სახელმწიფო ინსტიტუტების დამოუკიდებლობა და ანგარიშვალდებულება, დეოლიგარქიზაცია, ანტი-კორუფციული ზომები, მედიაგარემოს გაუმჯობესებას, მოწყვლადი ჯგუფების უფლებების დაცვას და ა.შ.[207] 12 წინაპირობის შესრულების არგუმენტით საქართველოს ხელისუფლებამ გადადგა გარკვეული ნაბიჯები, წინამდებარე ანგარიშის ამ ქვეთავში კი განხილული და შეფასებულია ზოგიერთი მათგანი.

7.1.1. საარჩევნო საკითხებზე მომუშავე ჯგუფის დაკომპლექტება

ევროკომისიის 12 წინაპირობიდან ერთ-ერთო მოითხოვს საარჩევნო საკანონმდებლო ჩარჩოს გაუმჯობესებას.[208] ამ წინაპირობის შესრულების მიზნით, პარლამენტში შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, მაგრამ პრობლემური აღმოჩნდა მისი დაკომპლექტება. კერძოდ, არასამთავრობო ორგანიზაცია „სამართლიანი არჩევნების“ (ISFED) განცხადებით, მმართველმა პარტიამ არ დაუშვა ISFED ზემოაღნიშნულ სამუშაო ჯგუფში.[209] არასამთავრობო ორგანიზაციების საპასუხო შეფასებით, „ქართული ოცნების“ გადაწყვეტილება იყო დაუსაბუთებელი, ეწინააღმდეგებოდა დეპოლარიზაციისა და გადაწყვეტილების მიღებაში სამოქალაქო ორგანიზაციების ჩართულობის თაობაზე ევროკავშირის წინაპირობების სულისკვეთებას.[210] ამ საკითხზე პოზიცია ასევე გამოხატა აშშ-ს საელჩომ და ევროკავშირის წარმომადგენლობამ. აშშ-ს საელჩოს განცხადებით, „ISFED-ის არდაშვება პარლამენტის საარჩევნო რეფორმის პროცესის გულწრფელობასთან დაკავშირებით კითხვებს ბადებს“,[211] ხოლო ევროკავშირის წარმომადგენლობამ მოუწოდა „საქართველოს ყველა დაინტერესებულ მხარეს, უზრუნველყოს, რომ ყველა შესაბამისი არასამთავრობო ორგანიზაცია მოწვეული იყოს და მიეცეს შესაძლებლობა არსებითი მონაწილეობა მიიღოს ყველა სამუშაო ჯგუფის საქმიანობაში, საარჩევნო რეფორმაზე მომუშავე ჯგუფის ჩათვლით“.[212]

7.1.2. სასამართლო რეფორმის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა

ევროკომიისის 12 წინაპირობიდან ერთ-ერთი მოითხოვს, რომ საქართველოს ხელისუფლებამ მიიღოს მართლმსაჯულების რეფორმის გამჭვირვალე და ეფექტიანი სტრატეგია და სამოქმედო გეგმა 2021 წლის შემდგომი პერიოდისათვის ფართო, ინკლუზიური და პარტიათაშორისი კონსულტაციის საფუძველზე.[213] ამ მოთხოვნის შესასრულებლად, პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის ფარგლებში შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელმაც შეიმუშავა სასამართლო რეფორმის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა.[214] აღნიშნულმა დოკუმენტმა არასამთავრობო ორგანიზაციების კოალიციისაგან (კოალიცია დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის) მწვავე კრიტიკა

---

[206] იქვე.
[207] მოხსენებითი ბარათი (memo): საქართველო, იხ.: https://bit.ly/3G6MPZO [ბოლო ნახვა 21.11.2022].
[208] იქვე.
[209] ISFED: ოცნებამ საარჩევნო საკითხებზე საპარლამენტო სამუშაო ჯგუფში ჩვენი ჩართვა დაბლოკა, იხ.: https://bit.ly/3Uwkm3c [ბოლო ნახვა 05.12.2022].
[210] ISFED-ის დაშვებამდე 4 არასამთავრობო ოცნების შექმნილ ყველა სამუშაო ჯგუფში მონაწილეობას წყვეტს, იხ.: https://bit.ly/3FphnW0 [ბოლო ნახვა 05.12.2022].
[211] აშშ-ს საელჩო: ISFED-ის არდაშვება სამუშაო ჯგუფში ეწინააღმდეგება ევროკომისიის რეკომენდაციას, იხ.: https://bit.ly/3VSbp5j [ბოლო ნახვა 05.12.2022].
[212] EU-ს წარმომადგენლობა: ყველა შესაბამის NGO-ს შესაძლებლობა მიეცეს მონაწილეობა მიიღოს პროცესში, იხ.: https://bit.ly/3iyACn0 [ბოლო ნახვა 05.12.2022].
[213] მოხსენებითი ბარათი (memo): საქართველო, იხ.: https://bit.ly/3G6MPZO[ბოლო ნახვა 21.11.2022].
[214] სასამართლო რეფორმის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, იხ.: https://bit.ly/3Xk1rLD [ბოლო ნახვა 21.11.2022].

დაიმსახურა. კერძოდ, კოალიციის შეფასებით, დოკუმენტი არ ეხმაურება მართლმსაჯულების სისტემაში არსებულ გამოწვევებს.[215] სამწუხაროდ, ეს არც არის გასაკვირი იქიდან გამომდინარე, რომ ზემოხსენებულმა სამუშაო ჯგუფმა და საპარლამენტო უმრავლესობამ არც კი განიხილა სამოქალაქო ორგანიზაციების შემოთავაზება, განეხორციელებინათ სასამართლო სისტემაში არსებული ვითარების სრულყოფილი და სიღრმისეული ანალიზი.[216] დოკუმენტში მოცემული ხედვა არ ითვალისწინებს ძალაუფლების კონცენტრაციისა და არაფორმალური გავლენის სახით მართლმსაჯულების სისტემაში არსებულ მთავარ პრობლემებს. მასში ასევე უგულებელყოფილია საერთაშორისო თუ ადგილობრივი ორგანიზაციების მიერ ბოლო წლებში გამოხატული მზარდი კრიტიკა და შერჩევითად არის მოცემული საკითხები, რომლებზეც რეფორმა უნდა გავრცელდეს.[217] აღნიშნულიდან გამომდინარე, სამუშაო ჯგუფის მიერ მომზადებული სტრატეგია და სამუშაო გეგმა არათუ ხელს შეუწყობს, არამედ დააბრკოლებს საქართველოს ევროინტეგრაციის პროცესს.

7.1.3. კანონპროექტი სსიპ „ანტიკორუფციული ბიუროს“ შექმნის თაობაზე

ევროკომისიის 12 წინაპირობიდან ერთ-ერთის თანახმად, საქართველოს ხელისუფლებამ უნდა „გააძლიეროს ანტი-კორუფციული სააგენტოს დამოუკიდებლობა, რომელიც თავს მოუყრის ყველა საკვანძო ანტი-კორუფციულ ფუნქციას; განსაკუთრებით კი, საგულდაგულოდ გადაჭრას მაღალი დონის კორუფციის შემთხვევები“.[218] ამ მიზნით, 2022 წლის 26 ოქტომბერს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა დააინიციტა კანონპროექტი, რომლითაც გათვალისწინებულია ახალი დაწესებულების სსიპ „ანტიკორუფციული ბიუროს“ შექმნა.[219] აღნიშნული კანონპროექტი გააკრიტიკეს არასამთავრობო ორგანიზაციებმა. კერძოდ, მათი შეფასებით, კანონპროექტი არ პასუხობს ქვეყანაში კორუფციასთან დაკავშირებულ გამოწვევებს, მათ შორის მაღალი დონის კორუფციისა და სახელმწიფო მიტაცების ზრდას.[220] ის „არ ეხება თანამდებობის პირთა ოჯახის იმ წევრებს, რომელთაც დღეს არ ევალებათ საკუთარი ქონების დეკლარირება; არ ზრდის მამხილებელთა დაცვის გარანტიებს, არ არეგულირებს მამხილებლებთან დაკავშირებულ სამართლებრივ ურთიერთობებს; [კანონპროექტით] არ ძლიერდება თანამდებობის პირთა დეკლარაციების მონიტორინგის სისტემა; არ ძლიერდება პოლიტიკური პარტიების დაფინანსების ზედამხედველობის ადმინისტრაციული შესაძლებლობები/მექანიზმები; [კანონპროექტი] არ ითვალისწინებს სპეციალიზებული საგამოძიებო ორგანოს შექმნას“.[221] კანონპროექტით სსიპ „ანტიკორუფციულ ბიუროს“ არ ენიჭება ევროკომისიის მოთხოვნაში მითითებული ფუნქციები და არც დამოუკიდებლობის რეალური გარანტიები.[222] აღნიშნულ სტრუქტურას რეალურად არ ექნება რაიმე უფლებამოსილება პრევენციული თუ სადამსჯელო ანტიკორუფციული ზომების იმპლემენტაციაზე გავლენის მოსახდენად.[223] შესაბამისად, არასამთავრობო

---

[215] მმართველი გუნდის მიერ შემუშავებული სასამართლო რეფორმის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა არ ეხმიანება მართლმსაჯულებაში არსებულ რეალურ პრობლემებს, იხ.: https://bit.ly/3G6QEhC [ბოლო ნახვა 21.11.2022].

[216] იქვე.

[217] იქვე.

[218] მოხსენებითი ბარათი (memo): საქართველო, იხ.: https://bit.ly/3G6MPZO [ბოლო ნახვა 21.11.2022].

[219] განცხადება ანტიკორუფციული ბიუროს შექმნასთან დაკავშირებით, იხ.: https://bit.ly/3TtJya2 [ბოლო ნახვა 21.11.2022].

[220] ანტიკორუფციულ საკითხებზე ინიცირებული კანონპროექტი ევროკავშირის IV პრიორიტეტულ ამოცანას ვერ პასუხობს, იხ.: https://bit.ly/3UsiuJu [ბოლო ნახვა 21.11.2022]; განცხადება ანტიკორუფციული ბიუროს შექმნასთან დაკავშირებით, იხ.: https://bit.ly/3TtJya2 [ბოლო ნახვა 21.11.2022].

[221] ანტიკორუფციულ საკითხებზე ინიცირებული კანონპროექტი ევროკავშირის IV პრიორიტეტულ ამოცანას ვერ პასუხობს, იხ.: https://bit.ly/3UsiuJu [ბოლო ნახვა 21.11.2022].

[222] იქვე; განცხადება ანტიკორუფციული ბიუროს შექმნასთან დაკავშირებით, იხ.: https://bit.ly/3TtJya2 [ბოლო ნახვა 21.11.2022].

[223] ანტიკორუფციულ საკითხებზე ინიცირებული კანონპროექტი ევროკავშირის IV პრიორიტეტულ ამოცანას ვერ პასუხობს, იხ.: https://bit.ly/3UsiuJu [ბოლო ნახვა 21.11.2022].

ორგანიზაციების შეფასებით, კანონპროექტი არ ემსახურება ევროკომისიის ზემოაღნიშნული მოთხოვნის შესრულებას.[224]

7.1.4. „დეოლიგარქიზაცია“

ევროკომისიის მიერ დადგენილი 12 წინაპირობიდან ერთ-ერთი არის ერთგულება „დეოლიგარქიზაციის“ პირობისადმი, „რაც უნდა მიღწეული იქნას ეკონომიკურ, პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში კერძო ინტერესების გადაჭარბებული გავლენის აღმოფხვრის საშუალებით“.[225] ამ მოთხოვნის შესასრულებლად, საქართველოს პარლამენტმა „დეოლიგარქიზაციის“ შესახებ კანონი პირველი მოსმენით მიიღო 2022 წლის 3 ნოემბერს,[226] მაგრამ, მმართველი პარტიის წარმომადგენლების თანახმად, „დეოლიგარქიზაცია“ არ გავრცელდება პარტიის დამფუძნებელზე ბიძინა ივანიშვილზე.[227] ბიძინა ივანიშვილის გამორიცხვა გააკრიტიკეს ევროპარლამენტარებმა, რომლებიც ოლიგარქად სწორედ ივანიშვილს მოიაზრებენ.[228] მართლაც, როგორც ადგილობრივი სამოქალაქო ორგანიზაციების, ისე ევროპარლამენტის შეფასებით, ბიძინა ივანიშვილს გადაჭარბებული ზეგავლენა და კონტროლი აქვს ქვეყნის ეკონომიკაზე, მმართველობასა და პოლიტიკაზე.[229] კერძოდ, არასამთავრობო ორგანიზაციების პოზიციით, ბიძინა ივანიშვნილი ქვეყნის არაფორმალური მმართველია და ახორციელებს სახელმწიფოს მიტაცებას,[230] ხოლო ევროპარლამენტის 2022 წლის 9 ივნისის რეზოლუციაში ბიძინა ივანიშვილი პირდაპირ მოხსენიებულია, როგორც ერთადერთი ოლიგარქი, რომელსაც აქვს დესტრუქციული როლი საქართველოს პოლიტიკასა და ეკონომიკაში და კონტროლი ხელისუფლებასა და ხელისუფლების გადაწყვეტილებებზე.[231] ასევე, აღსანიშნავია 2022 წლის ნოემბერში ევროპარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის სხდომაზე მიღებული რეზოლუცია, რომელიც ბიძინა ივანიშვილს პირდაპირ ასახელებს დეოლიგარქიზაციის მოთხოვნის კონტექსტში.[232] კერძოდ, რეზოლუციის თანახმად, „[ევროპარლამენტი] ხაზს უსვამს აუცილებლობას, აღმოიფხვრას კერძო ინტერესების გადაჭარბებული ზეგავლენა ეკონომიკურ, პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში, როგორც ევროკომისიის მიერ განსაზღვრული ერთ-ერთი პრიორიტეტი, რომლის გადაჭრაც აუცილებელია საქართველოსთვის [ევროკავშირის] წევრობის კანდიდატის

[224] იქვე, განცხადება ანტიკორუფციული ბიუროს შექმნასთან დაკავშირებით, იხ.: https://bit.ly/3TtJya2 [ბოლო ნახვა 21.11.2022].
[225] მოხსენებითი ბარათი (memo): საქართველო, იხ.: https://bit.ly/3G6MPZO [ბოლო ნახვა 21.11.2022].
[226] პარლამენტმა დეოლიგარქიზაციის შესახებ კანონი პირველი მოსმენით მიიღო, იხ.: https://bit.ly/3ErL2NN [ბოლო ნახვა 21.11.2022].
[227] იონათამიშვილი დეოლიგარქიზაციაზე: თუ ვინმეს არ მიესადაგება, არის ივანიშვილი, იხ.: https://bit.ly/3UVFsZy [ბოლო ნახვა 21.11.2022]; მდინარაძე დეოლიგარქიზაციაზე: ძალით როგორ მოვარგოთ ივანიშვილს, როცა ობიექტურად არ ერგება? იხ.: https://bit.ly/3UAAaTo [ბოლო ნახვა 21.11.2022]; ოხანაშვილი: ივანიშვილზე დეოლიგარქიზაციის კანონპროექტი ფიზიკურად ვერ გავრცელდება, იხ.: https://bit.ly/3OjhCox [ბოლო ნახვა 21.11.2022].
[228] გრეგოროვა დეოლიგარქიზაციაზე: თუ ივანიშვილზე არ იმოქმედებს, სათანადოდ შესრულებული არაა, იხ.: https://bit.ly/3UFChoX [ბოლო ნახვა 21.11.2022]; იუკნევიჩიენე ოცნებას: დეოლიგარქიზაცია ნიშნავს დებიძინიზაციას, დეივანიშვილიზაციას, იხ.: https://bit.ly/3hDxV31 [ბოლო ნახვა 21.11.2022]; კუბილიუსი: საქართველოში მხოლოდ ერთი ოლიგარქია და მისი სახელია ბიძინა ივანიშვილი, იხ.: https://bit.ly/3WYQP4D [ბოლო ნახვა 21.11.2022].
[229] საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მიმართვა საერთაშორისო თანამეგობრობას, იხ.: https://bit.ly/3fXCBR2 [ბოლო ნახვა 21.11.2022]; European Parliament resolution of 9 June 2022 on violations of media freedom and the safety of journalists in Georgia (2022/2702(RSP)) , იხ.: https://bit.ly/3O1AzMc [ბოლო ნახვა 21.11.2022]; რა ჩაიწერა საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმების ანგარიშში - მთავარი მოკლედ, იხ.: https://bit.ly/3tqMxph [ბოლო ნახვა 21.11.2022].
[230] საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მიმართვა საერთაშორისო თანამეგობრობას, იხ.: https://bit.ly/3fXCBR2 [ბოლო ნახვა 21.11.2022]; არასამთავრობო ორგანიზაციათა საგანგებო განცხადება https://bit.ly/3E5Rzwe [ბოლო ნახვა 21.11.2022]; არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სამოქალაქო აქტივისტების მიმართვა „ევროპის სოციალისტურ პარტიას", იხ.: https://bit.ly/3Xd2nBB [ბოლო ნახვა 21.11.2022].
[231] European Parliament resolution of 9 June 2022 on violations of media freedom and the safety of journalists in Georgia (2022/2702(RSP)) , იხ.: https://bit.ly/3O1AzMc [ბოლო ნახვა 21.11.2022].
[232] რა ჩაიწერა საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმების ანგარიშში - მთავარი მოკლედ, იხ.: https://bit.ly/3tqMxph [ბოლო ნახვა 21.11.2022]; მედია, პოლიტიკური დევნა, ბაკაშვილი და სხვა - ევროპარლამენტმა, იხ.: საქართველოზე კომპრომისული რეზოლუცია მიიღო, იხ.: https://bit.ly/3E699jB [ბოლო ნახვა 21.11.2022].

სტატუსის მინიჭებამდე. [ევროპარლამენტი] რეკომენდაციას იძლევა, გადაიჭრას გადაჭარბებული ინტერესების ზეგავლენის საკითხი, განსაკუთრებით - ყოფილი პრემიერ-მინისტრის, ბიძინა ივანიშვილის შემთხვევაში, სისტემურად, სტრუქტურული და მარეგულირებელი რეფორმებით, ქვეყნის პოლიტიკური, ეკონომიკური და საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში".[233] აქედან გამომდინარე, ევროკომისიის ზემოაღნიშნული წინაპირობა რეალურად ვერ შესრულდება, თუ დეოლიგაქიზაცია არ შეეხება და არ აღმოფხვრის ბიძინა ივანიშვილის გავლენებს პოლიტიკური, ეკონომიკური და საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში

8. სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გაუქმება

2021 წლის 30 დეკემბერს საქართველოს პარლამენტმა დაჩქარებული წესით მიიღო საკანონმდებლო ცვლილებები, რომლითაც 2022 წლის 1 მარტიდან გაუქმდა სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური და უფლებამოსილება შეუწყდათ სახელმწიფო ინსპექტორსა და მის მოადგილეებს, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მაგივრად კი შეიქმნა სპეციალური საგამოძიებო და პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურები.[234]

პარლამენტის გადაწყვეტილება მწვავედ გააკრიტიკეს ადგილობრივი და საერთაშორისო საზოგადოების წარმომადგენლებმა ჯერ კიდევ რეფორმის მიღებამდე. არასამთავრობო ორგანიზაციების განცხადებით, მაშინ, როდესაც სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საქმიანობა დადებითად ფასდებოდა ადგილობრივ და საერთაშორისო დონეებზე, საჭირო იყო არა მისი გაუქმება, არამედ გაძლიერება.[235] არასამთავრობო ორგანიზაციებმა ყურადღება გაამახვილეს კანონპროექტის მომზადებისა და მიღების დახურულ, არაინკლუზიურ და დაჩქარებულ პროცესზე, რომელიც უკიდურესად პრობლემური იყო რეფორმის საჯარო მნიშვნელობის გათვალისწინებით და მიუთითებდა, რომ ხელისუფლების მიზანი იყო დამოუკიდებელ ინსტიტუტზე გავლენის მოპოვება და არა საკითხის სიღრმისეულად განხილვა.[236] სახელმწიფო ინსპექტორის მიმართ პოლიტიკურ ანგარიშსწორებაზე მიანიშნებდა წინმსწრები მოვლენებიც - სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მიერ მიხეილ სააკაშვილის პერსონალური მონაცემების მოპოვებისა და გასაჯაროების გამო იუსტიციის სამინისტროსა და სპეციალური პენიტენციური სამსახურის დაჯარიმება, ალექსანდრე ლაშქარავას პერსონალური მონაცემების დამუშავების კანონიერების შესწავლა და სავარაუდო ფარული მიყურადება-თვალთვალის გაკრიტიკება.[237] არასამთავრობო ორგანიზაციების მსგავსად, საქართველოს სახალხო დამცველმა განაცხადა, რომ საკანონმდებლო ცვლილებები მიზნად ისახავდა დამოუკიდებელ ორგანოს საქმიანობაზე ზეგავლენის მოხდენას იმის ფონზე, რომ კანონპროექტი პარლამენტში განიხილეს დაჩქარებულად, დაინტერესებულ მხარეებთან წინასწარი კონსულტაციის გარეშე.[238] სახალხო დამცველმა უარყოფითად შეაფასა ახლადშექმნილი ორგანოების მანდატიც, კერძოდ ის, რომ „მხოლოდ მიზერულად იზრდება საგამოძიებო იურისდიქცია. ამავდროულად, საქართველოს პროკურატურაზე დამოკიდებულების კუთხით არ არის რამე სიახლე შემოთავაზებული (რაც ერთ-ერთი

[233] რა ჩაიწერა საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმების ანგარიშში - მთავარი მოკლედ, იხ.: https://bit.ly/3tqMxph [ბოლო ნახვა 21.11.2022].
[234] პარლამენტმა სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გაუქმების შესახებ კანონპროექტი მესამე მოსმენით დაამტკიცა - სამსახური მუშაობას 2022 წლის 1-ელი მარტიდან შეწყვეტს, იხ.: https://bit.ly/3EBQCxd [ბოლო ნახვა 21.11.2022].
[235] არასამთავრობო ორგანიზაციების განცხადება სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესაძლო გაუქმებასთან დაკავშირებით, იხ.: https://bit.ly/3hGNR4B [ბოლო ნახვა 21.11.2022].
[236] იქვე.
[237] იქვე.
[238] საქართველოს სახალხო დამცველის განცხადება სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გაუქმების მცდელობასთან დაკავშირებით, იხ.: https://bit.ly/3GmNdni [ბოლო ნახვა 21.11.2022].

დიდი გამოწვევაა დღესდღეობით). ამის საწინააღმდეგოდ, კანონპროექტის მიხედვით პროკურატურის თანამშრომლები აღარ მოექცევიან სამსახურის საგამოძიებო მანდატის ქვეშ".[239]

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გაუქმება გააკრიტიკეს საერთაშორისო საზოგადოების წარმომადგენლებმაც. ევროკავშირის წარმომადგენლობის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელმა კანონპროექტის მიღებისა და მომზადების პროცესს საქართველოს დემოკრატიისათვის მაღალი რისკის შემცველი უწოდა,[240] ხოლო საკანონმდებლო ცვლილებების მიღების შემდეგ ევროკავშირის (იმდროინდელმა) ელჩმა განაცხადა, რომ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გაუქმების ობიექტური მიზეზები ვერ დაინახეს[241] და „ეს იყო ნაჩქარევი გადაწყვეტილება, რათა პროცესში ყველა დაინტერესებული მხარე საკმარისად არ ჩართულიყო".[242] კანონპროექტის გამო შეშფოთება გამოხატა საქართველოში აშშ-ს საელჩომ და მისი განხილვის გადადებისკენ მოუწოდა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა კომიტეტის თავმჯდომარეებს,[243] ხოლო გაეროს ადამიანის უფლებათა ოფისმა პარლამენტს მოუწოდა „გაიწვიოს ინიციატივა და უზრუნველყოს ადამიანის უფლებების [დაცვის] ეროვნული მექანიზმის დამოუკიდებლობა".[244] საკანონმდებლო ცვლილებების შესახებ მოსაზრება მოამზადა ევთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისმა (ODIHR). მოსაზრების თანახმად, საერთაშორისო სტანდარტების საწინააღმდეგოდ და კონსულტაციების გარეშე საკანონმდებლო ცვლილებების დაჩქარებულად განხორციელება წარმოადგენდა რისკს ქვეყანაში სამართლის უზენაესობისა და დამოუკიდებელი ინსტიტუტების ფუნქციონირებისათვის, ხოლო კანონპროექტს შეეძლო (უარყოფითი) გავლენის მოხდენა სამართალდამცავთა მიერ ჩადენილი ადამიანის უფლებათა დარღვევებისაგან დაცვაზე.[245]

აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო ინსპექტორმა და სახალხო დამცველმა საკანონმდელო ცვლილებების კონსტიტუციურობა გაასაჩივრეს საკონსტიტუციო სასამართლოში და სადავო ნორმების მოქმედების შეჩერება მოითხოვეს.[246] ანალოგიურად, არასამთავრობო ორგანიზაციებმა მოუწოდეს საკონსტიტუციო სასამართლოს, პრიორიტეტულად განეხილა სახელმწიფო ინსპექტორის კონსტიტუციური სარჩელი და შეეჩერებინა სადავო ნორმების მოქმედება.[247] მიუხედავად ამისა, საკონსტიტუციო სასამართლომ არ შეაჩერა გასაჩივრებული მოწესრიგების მოქმედება.[248] 2022 წლის 17 ნოემბერს საკონსტიტუციო

---

[239] იქვე.

[240] ევროკავშირის წარმომადგენლობა პარლამენტში სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურსა და სასამართლო სისტემასთან დაკავშირებული კანონპროექტების დაჩქარებული წესით განხილვას ეხმაურება, იხ.: https://bit.ly/3Ai95fq [ბოლო ნახვა 21.11.2022].

[241] ჰარცელი: კვლავ ვერ ვხედავთ ინსპექტორის სამსახურის ნაჩქარევად დაშლის ობიექტურ მიზეზებს, იხ.: https://bit.ly/3EBXZEU [ბოლო ნახვა 21.11.2022].

[242] ჰარცელი: სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური ვიზალიბერალიზაციის ერთ-ერთი პირობის ნაწილი იყო, იხ.: https://bit.ly/3E9N1F7 [ბოლო ნახვა 21.11.2022].

[243] "ინსპექტორზე შეშფოთება გამოვთქვით, მოვუწოდებთ გადადებისკენ" – დეგნანი დეპუტატებს შეხვდა, იხ.: https://bit.ly/3tS7iKN

[244] გაერო: მოვუწოდებთ პარლამენტს გაიწვიოს სახელმწიფო ინსპექტორის გაუქმების ინიციატივა, იხ.: https://bit.ly/3UXueUc [ბოლო ნახვა 21.11.2022].

[245] OSCE/ODIHR Opinion on the Legislative Amendments on the State Inspector's Service of Georgia, 18 February 2022, Warsaw, page 2, იხ.: https://bit.ly/3hADAqv [ბოლო ნახვა 21.11.2022].

[246] რატომ უნდა იჩქაროს საკონსტიტუციო სასამართლომ | ინსპექტორის საქმე, , იხ.: https://netgazeti.ge/law/591836/ [ბოლო ნახვა 21.11.2022]; სახალხო დამცველმა საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართა სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურთან დაკავშირებით, იხ.: https://bit.ly/3GhA66I [ბოლო ნახვა 21.11.2022].

[247] მოვუწოდებთ საკონსტიტუციო სასამართლოს დროულად განიხილოს ლონდა თოლორაიას სარჩელი, იხ.: https://bit.ly/3X7wCJP [ბოლო ნახვა 21.11.2022].

[248] საკონსტიტუციოს გადაწყვეტილება ინსპექტორის სამსახურის გაუქმებაზე, იხ.: https://civil.ge/ka/archives/476373 [ბოლო ნახვა 21.11.2022].

სასამართლომ გამოიტანა გადაწყვეტილება, რომლითაც ზემოაღნიშნული სარჩელები ნაწილობრივ დააკმაყოფილა.[249]

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ადამიანის უფლებების დაცვისათვის ისეთი მნიშვნელოვანი ორგანო, როგორიც იყო სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური, გაუქმდა დაჩქარებულად, სათანადო და გამჭვირვალე დისკუსიისა და კონსტიტუციურობის შეფასების გარეშე.

[249] საკონსტიტუციომ პარლამენტის წინააღმდეგ თოლორაიას სარჩელი ნაწილობრივ დააკმაყოფილა, იხ.: https://bit.ly/3EKpBqj [ბოლო ნახვა 21.11.2022]; საკონსტიტუციო სასამართლომ ნაწილობრივ დააკმაყოფილა №1673 და №1681 კონსტიტუციური სარჩელები („ლონდა თოლორაია და საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“), იხ.: https://bit.ly/3XxsrYj [ბოლო ნახვა 21.11.2022].